პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი ოთხშაბათი 31 იანვარი № 26 (17371) ფასი 2 კაპ.



მეცნიერი — დეკუტატობის კანდიდატი

ევგენი ხარაძე — ვლ. ბინზაურგის ფოტო.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

29 იანვარს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების მდივნების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელების თათბირი. განხილული იქნა კაპიტალური მშენებლობის. გასული წლის შედეგები და 1979 წლის გეგმის შესრულების ღონისძიებანი.

ამ საკითხზე ინფორმაცია გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ე. დიმიშიცამ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ა. ტიხონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ი. ვ. კაბიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, ი. პ. რიაბოვი, მ. ს. გორბачოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები, სსრ კავშირის მინისტრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სახმშენის, სსრ კავშირის სახმომარაგების, სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის, სსრ კავშირის მშენბანკის პასუხისმგებელი მუშაკები.

თათბირზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. კირილენკო.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად, აღინიშნა თათბირზე, კაპიტალურ მშენებლობაში მიღწეულია ეფექტური ზეგავლენა. შარშან შესრულდა კაპიტალური დაბანდების საერთო მოცულობის გეგმა, ძირითადი ფონდების ამოქმედება 1977 წელთან შედარებით 9 პროცენტით გადიდდა. მოქმედთა მწყობრში ჩადგა 230 ახალი მსხვილი სახელმწიფო სარეწველო საწარმო. საეკსპლოატაციოდ გადაეცა მსუბუქი და კვების მრეწველობის, მანქანათმშენებლობის, სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი სიმძლავრეები. აშენდა 109 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, ბევრი სკოლა, საავადმყოფო, საბავშვო დაწესებულება და სოციალური დანიშნულების სხვა ობიექტი. ეფექტიანი მასალებისა და კონსტრუქციების, სამუშაოთა წარმოების პროგრესული მეთოდების დანერგვამ ხელი შეუწყო მშენებლობის ტექნიკური დონის შემდგომ ამაღლებას.

ამასთანავე თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ მოლიანად არ შესრულებულა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 26 იანვარს მიღებული დადგენილება „1978 წელს სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სოციალური დანიშნულების უმნიშვნელოვანესი საერთო-სახელმწიფო ასამუშავებელი ობიექტების ამოქმედების უზრუნველყოფის შესახებ". თათბირზე ბევრი კრიტიკული შენიშვნა გამოითქვა სამშენებლო სამინისტროებისა და შემკვეთი სამინისტროების ხელმძღვანელთა მიმართ, რომლებმაც გადამწყვეტი ღონისძიებანი არ განახორციელეს კაპიტალური დაბანდების დაჩქარების შეწყვეტისათვის, ასამუშავებელ ობიექტებზე ძალებისა და სახსრების კონცენტრაციისათვის, ჩაშალეს დიდმნიშვნელოვან სიმძლავრეთა ამოქმედება; აგრეთვე ცალკეული მანქანათმშენებლობის სამინისტროების, სსრ კავშირის სახმომარაგებისა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ორგანოების მიმართ ასამუშავებელ მშენებლობათა შეკვეთების შესრულებასა და მოწყობილობით მათს დროულ კომპლექტაციაში დაშვებული ხარვეზების გამო.

თათბირზე სამინისტროებისა და შემკვეთი უწყებების ყურადღება მიაპყრეს იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ახლად ამოქმედებულ წარმოებათათვის კადრების დროულ მომზადებას და დაკომპლექტებას, მათს უსწრაფეს ათვისებას.

სამშენებლო სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებს რეკომენდაცია ეძლევათ ადგილობრივ პარტიულ და სამეურნეო ორგანოებთან ერთად უმოკლეს ვადაში 1979 წლის ყველა უმნიშვნელოვანეს ასამუშავებელ მშენებლობაზე მოუყარონ თავი საჭირო ძალებს, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები ისე მოაწყონ, რომ ზუსტად შეესაბამებოდეს დამტკიცებულ ღონისძიებებს, გრაფიკებსა და ასამოქმედებელ კომპლექსებს. დაუყოვნებლივ განიხილონ იმ ასამოქმედებელი ობიექტების საქმის ვითარება, რომლებიც ჯერ კიდევ შარშან უნდა ამუშავებულიყო, და განახორციელონ მათი უსწრაფესი ამოქმედების ღონისძიებანი. მკაცრი პერსონალური პასუხისმგებლობა დაეწესონ ასამოქმედებელი ობიექტების მშენებლობისათვის, მოწყობილობით, მასალებით, ადამიანთა და ფინანსური რესურსებით მათი უზრუნველყოფის ყველა საკითხის გადაწყვეტისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს რეკომენდაცია ეძლევათ გააძლიერონ ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, რათა დარაზმონ შრომითი კოლექტივები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმის გადწყვეტილებების, იმ დებულებებისა და დასკვნების შესასრულებლად, რომლებიც გამომდინარეობს კაპიტალური მშენებლობის საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებიდან. მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს ობიექტების დროულ ამოქმედებას, მშენებლობის ხარისხის ამაღლებასა და მისი ღირებულების შემცირებას, შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის დაჩქარებას, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვას, არსებული რეზერვების მაქსიმალურ გამოყენებას.

საჭიროა გააქტიურდეს მუშაობა მშენებლობის, საწარმოს, საამქროს, უბნისა და ბრიგადის თითოეული შრომითი კოლექტივის მიერ საგეგმო დავალებებისა და ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის მასობრივი სოციალისტური შეჯიბრების მოსაწყობად. რაც შეიძლება ფართოდ უნდა გავრცელდეს 60 მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის ინიციატივა, რომლებმაც შეჯიბრება გაშალეს 1979 წლის ყველა ასამუშავებელი სიმძლავრისა და ობიექტის დროული და ვადამდე ამოქმედებისათვის. ამ საყურადღებო წამოწყებას ყოველნაირად უნდა დავუჭიროთ მხარი.

თათბირზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მშენებლობის ეფექტიანობის შემდგომ ამაღლებას, ენერგეტიკის, სათბობის მრეწველობის, მანქანათმშენებლობის, მეტალურგიის, ქიმიის, სოფლის მეურნეობის სიმძლავრეების, სახალხო მოხმარების საქონლის საწარმოების, აგრეთვე სოციალური და კულტურული დანიშნულების ობიექტების ამოქმედების დაჩქარებას. ამ მშენებლობებს დღენიადაგ უნდა ეწეოდეს პარტიული კონტროლი.

სამშენებლო სამინისტროებსა და შემკვეთ სამინისტროებს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სახმშენს, სსრ კავშირის სახმომარაგებას, სსრ კავშირის მშენბანკს, აგრეთვე ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს ევალებათ ყველაფერი იღონონ იმისათვის, რომ წარმატებით შესრულდეს სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედების 1979 წლის გეგმა და საჭირო მარაგამეტი შეიქმნას მეათე ხუთწლედის ბოლო წლისათვის. (საკდესი).

ოფიციალურ ვიზიტად

29 იანვარს საბჭოთა მთავრობის მოწვევით მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი შტ. ანდრეი.

აეროდრომზე სტუმარს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სხვა ოფიციალური პირნი.

ამავე დღეს დაიწყო ა. ა. გრომიკოსა და შტ. ანდრეის მოლაპარაკება.

(საკდესი).

325

სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი ერთიანობა და ძმური მეგობრობა სოციალიზმის დიადი მონაპოვარია.

ლ. ბრეჟნევი.

ძმური ერთიანობის დიადი ძალა

რუსეთთან უკრაინის შეერთების 325-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება კიევში

დიდი და სასიხარულო დღესასწაული დადგა უკრაინისა და რუსეთის მიწა-წყალზე: 325 წლის წინათ ძველ პერეიასლავში გაისმა მგზნებარე, წინასწარმეტყველური სიტყვები: „საუკუნოდ ერთად!" უკრაინელმა ხალხმა, გამოხატა რა მტკიცე ნება და სანუკვარი მისწრაფებანი, თავისი ისტორიული ბედი დაუკავშირა დიდ რუს ხალხს. დიად და მძლავრ რუსეთს. მოძმე ხალხებმა, რომლებიც გაერთიანდნენ საერთო სამშობლოს ჭერქვეშ და გააძლიერეს ძალები, განვლეს დიდი მიღწევებისა და სახელოვანი გმირობის გზა, რომელიც განვითარებული სოციალიზმის აშენებით დაგვირგვინდა. ეს იუბილე მთელი ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი მოვლენა, ინტერნაციონალური მეგობრობისა და ძმობის ლენინური იდეალების გამარჯვებაა.

30 იანვარს კიევში გაიმართა რუსეთთან უკრაინის შეერთების 325-ე წლისთავისადმი მიძღვნილი მშრომელთა საზეიმო კრება, რომელშიც მონაწილეობდნენ პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საბჭოთა არმიის წარმომადგენლები.

აკადემიკოს ვ. ვ. შჩერბიცკის მოხსენება

ამ დღეებში მთელ ქვეყანაში აღინიშნება დიდი დღესასწაული — რუსეთთან უკრაინის შეერთების 325-ე წლისთავი. ჩვენს დღესასწაულს განსაკუთრებული მნიშვნელობა და ზეიმურობა მიანიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიესალმა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკისა და უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი, ყველა მშრომელისადმი.

(ვ. ვ. შჩერბიცკის წაიკითხა მისალმება, რომელსაც კრების მონაწილენი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ).

საბჭოთა უკრაინის მშრომელთა სახელით ვ. ვ. შჩერბიცკის სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს დიდი მადლობა გადაუხადა ღირსშესანიშნავი იუბილეს გამო გულითადი მისალმებისათვის, კეთილი სურვილებისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის განმტკიცებაში, ჩვენი მოძმე ხალხების წვლილის მაღალი შეფასებისათვის.

თითოეული ხალხის ისტორიაში, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, არის ჭეშმარიტად ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენები. ასეთი მოვლენა უკრაინელი ხალხისათვის გახდა რუსეთთან უკრაინის შეერთება. 325 წლის წინათ ახდა ორი მოძმე ხალხის — რუსი და უკრაინელი ხალხების საუკუნოვანი ოცნება ერთიანობის, ურღვევი მეგობრობისა და ურთიერთდახმარების შესახებ. ხორცი შეესხა სანუკვარ იდეას, რომელიც მათს გონებასა და გულში ღვიოდა საუკუნეების მანძილზე.

„საუკუნოდ რომ ერთად ვიყოთ" — ეს გულწრფელი სიტყვები საზეიმო ნაბიჯად გაისმა 1654 წლის იანვრის დღეს უძველესი პერეიასლავის ხალხით გაჭედილ მოედანზე და მძლავრ ექოდ მოედო მთელ უკრაინას.

„საუკუნოდ ერთად ვიქნებით!" — ამ ფიცის ერთგული იყვნენ ჩვენი ხალხები ყოველთვის — საერთო სახალხო ზეიმის ჟამსაც, სასტიკი განსაცდელის დროსაც. და ეს წმინდა გრძნობა განმტკიცდა და გადაიზარდა უძველეს, ძალად ექსპლოატატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში. სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა ურღვევ ერთიანობასა და შეგობრობას შეემატა ახალი შინაარსი დიდი ოქტომბრის გამარჯვების შედეგად, როცა პირველად საქმით, ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, განხორციელდა ხალხთა დიადი ინტერნაციონალური ძმობა.

ეს ინტერნაციონალური ძმობა გახდა საბჭოთა ადამიანების დიად გამარჯვებათა ცხოველმყოფელი წყარო ბომბფიფებული სოციალიზმის საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში, სოციალიზმისა, რომელიც ჩვენს დროში სოციალური პროგრესის უმაღლესი მიღწევაა.

შეეხო რა რუსეთთან უკრაინის შეერთების ისტორიულ მნიშვნელობას, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რუსეთისა და უკრაინის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ერთიანობა, რომელსაც დიდი ხნის ისტორია აქვს, სათავეს იღებს კიევის რუსეთიდან, რომელიც საშა მომეი ხალხს — რუსი, უკრაინელი და ბელორუსი ხალხების აკვანი გახდა. უმძიმესი განსაცდელის მიუხედავად, მათ სათუთად დაიცვეს და საუკუნეების მანძილზე ატარეს თავისი წარმოშობის ერთიანობის, ენის, კულტურის სიახლოვის დიადი შეგრძნება, ერთიანობისა და გაუყოფელი ისტორიული ბედის ძვირფასი გრძნობა, ასულდგმულებდათ ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების იმედი.

უცხოელთა დამონებისა და უკრაინის მიწა-წყლის დანაწევრების პირობებში, რაც საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა, მძლავრი ცენტრალიზებული რუსეთის სახელმწიფო ყოველთვის რჩებოდა ბუნებრივ და ერთადერთ ცენტრად, რომელსაც ელტოდნენ უკრაინის მშრომელი მასები.

გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, დახელოვნებული მხედართმთავარი და ბრძენი დიპლომატი, თავისი ეპოქის დიდი შვილი იყო ბოგდან ხმელნიცკი, რომელმაც თავისი სოციალურ-კლასობრივი კუთვნილების მიუხედავად ნათლად გაიგო დროის პროგრესული მოცანები, ხალხის ძირეული ეროვნული ინტერესები. იგი გამოხატავდა უკრაინის ხალხის მასების მარადიულ იმედსა და მისწრაფებას შეერთებოდნენ რუსეთს და თანამიმდევრულად იბრძოდა მათი განხორციელებისათვის. ბოგდან ხმელნიცკი სათავეში ჩაუდგა სახალხო-განმათავისუფლებელ ომს და იდგა ორი მოძმე ხალხის ურღვევი კავშირის აკვანთან.

ბოგდან ხმელნიცკის სახელობისაა საბჭოთა უკრაინის ქუნები და მოედნები, საოლქო და რაიონული ცენტრები, მის პატივსაცემად აღმართულია ძეგლები. მისი ისტორიული როლის საყოველთაო-სახალხო აღიარების დადასტურება გახდა ის, რომ დიდი სამამულო ომის წლებში დაწესდა ბოგდან ხმელნიცკის ორდენი, რომელიც მიენიჭა სახელმოხვეჭილ მხედართმთავრებს, საბჭოთა არმიის ბევრ ოფიცერსა და შეომარს. და ღრმად სიმბოლურია, რომ ამ ორდენით დაჯილდოვდა დიდი რუსი ხალხის გამოჩენილი შვილი ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევი, რომელმაც მრავალი წელი იმუშავა უკრაინაში, იბრძოდა მის მიწა-წყალზე ომის დღეებში და, როგორც ლენინდ ილიას ძემ თქვა, გულწრფელად, მამაშვილურად შეიყვარა უკრაინელი ხალხი.

1648-1654 წლების განმათავისუფლებელი ომის პროგრესული ხასიათი და მძლავრი გაქანება განისაზღვრა მასში უკრაინელი ხალხის ფართო მასების, რუსი, ბელორუსი და სხვა ხალხების წარმომადგენელთა მონაწილეობით, ხოლო მისი საბოლოო წარმატება — რუსეთის ყოველმხრივი მატერიალური, სამხედრო და პოლიტიკური მხარდაჭერით.

რუსეთთან უკრაინის შეერთება, აღნიშნულია მოხსენებაში, იყო შემობრუნების ეტაპი უკრაინელი ხალხის მთელ ცხოვრებაში. როგორც მომხსენებელმა თქვა, ამ დიადი აქტის ისტორიული მნიშვნელობა ის არის, რომ სამუდამოდ განმტკიცდა ორი მოძმე ხალხის ერთიანობა, რომ შეერთებამ, როგორც ვ. ი. ლენინმა განსაზღვრა, ისინი დააკავშირა ეკონომიკური, სამართლებრივი და საყოფაცხოვრებო ხასიათის მილიონობით და მილიარდობით ძაფით, მრავალგზის გაამრავლა მათი ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერი პოტენციალი, ხელი შეუწყო ერთიანი სახელმწიფოს საწარმოო ძალების ზრდას, განამტკიცა რუსეთის სახელმწიფოს პოზიციები მსოფლიო ასპარეზზე. ორი დიდი მოძმე ხალხის შეერთება სხვა ხალხებისათვის, რომლებიც რუსეთს ელტოდნენ, მათი ეროვნული ისტორიული ბედის ერთადერთი სწორი გადაწყვეტის ნამდვილი ნიმუში გახდა.

ხალხთა მეგობრობისა და ძმობის იდეები აცისკროვნებდა რუსეთში განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველა ეტაპს, ანიჭებდა მას განსაკუთრებულ ძალას, სიღრმესა და გაჭანებას. განუხრელად არის დაკავშირებული პეტერბურგის სენატის მოედანზე თავისუფლების პირველი მაცნეების გამოსვლები და უკრაინაში ჩერნიგოვის პოლკის აჯანყება. ტ. გ. შევჩენკოს, ი. ი. ფრანკოს, ლესია უკრაინკასა და მ. მ. კოციუბინსკის თავისუფლებისათვის მგზნებარე მოწოდებანი ერწყმოდა რუსი რევოლუციური დემოკრატების მოწოდებებ იდეებს.

ისტორიულ სარბიელზე მუშათა კლასის გამოსვლამ თვისებრივად ახალი, ინტერნაციონალისტური შინაარსი მიანიჭა ორი ხალხის სამარადისო კავშირს. სრულიად რუსეთის პროლეტარიატის რიგებში ჩამოყალიბდა და რევოლუციურ ბრძოლის დიდი სკოლა გაიარა უკრაინის მუშათა კლასმა.

უკრაინელი ხალხის, ისევე როგორც ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხის ბედისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ი. ლენინის მიერ ბოლშევიკური პარტიის — ახალი ტიპის პარტიის, ნამდვილად პროლეტარული ინტერნაციონალისტების პარტიის შექმნას.

პარტიის უდიდესმა პოლიტიკურმა და ორგანიზატორულმა მუშაობამ, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის, ყველა ერის მშრომელთა რევოლუციური მოქმედების ერთიანობის განმტკიცებამ განაპირობა, რომ უკრაინის რევოლუციურ - განმათავისუფლებელი მოძრაობა შეერწყა მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ბრძოლას რუსეთის სამ რევოლუციაში. და უკრაინის მუშათა კლასი მუდამ მხარს უსწორებდა რევოლუციურ რუსეთს, რუსეთის პროლეტარიატს, სამართლიანად მიიჩნევდა მას თავის ერთგულ და საიმედო თანამებრძოლად.

რუს ძმებს უკრაინელი მშრომელებიც მიჰყვნენ, ოქტომბრის წინთელი დროშების ქვეშ დადგნენ და 1917 წლის დეკემბერში უკრაინა საბჭოთა რესპუბლიკად გამოაცხადეს. უკრაინაში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება — რუსეთის რევოლუციური პროცესის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი— რუსი და უკრაინელი პროლეტარების მოქმედების ერთიანობის კანონზომიერი შედეგი, ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება იყო.

გარეშე და შინაურ კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის წლებში ახალი ძალით გამოვლინდა მშრომელთა კლასობრივი სოლიდარობა. უკრაინელი ხალხის დასახმარებლად მიმავალი წითელგვარდიელებისადმი განაწესში მოსკოველი ბოლშევიკები წერდნენ: „...უკრაინელებო თქვენი ძმები არიან... მაშ, მოდით ძმური მგზნებარე ხელი გაუწოდეთ მას... და ერთად, მხარდამხარ თქვენ დამბობთ შეთქმულ მეშამულეთა და კაპიტალისტთა უკანასკნელ ჯგუფს.

მუშათა კლასის, მთელი მშრომელი ხალხის ინტერნაციონალიზაციის პროცესი ღირსეულად დაგვირგვინა საბჭოთა რეგისტრაციაში გაატარა გაერთიანება „დეტსკოსელსკოეს" მეთაური საბჭოთა მეურნეობის მებოსტნეთა ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი **ვალენტინა რომანოვა ასული პარშინა.**

გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს კუნცევოს საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებები. ამ ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. უ. ჩერნენკო. საოლქო საარჩევნო კომისიებისადმი ღია წერილიდან ამომრჩეველმა კმაყოფილებით შეიტყვეს, რომ კ. უ. ჩერნენკო დათანხმდა კენჭი იყაროს კიშინიოვის ლენინის საარჩევნო ოლქში.

სხდომაზე გამოვიდნენ კიშინიოვის სატრაქტორო ქარხნის ხარატი ი. ზ. კოტორობანი, ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „სტიაუა როშიეს" დირექტორი ლ. ა. ლუკიჩევა, რომლებმაც თავიანთი საწარმოების კოლექტივების სახელით წინადადება შეიტანეს კ. უ. ჩერნენკო რეგისტრაციაში გაა-

(დასასრული მე-2 გვ.).

1979 4 თებერვალი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეა!

ხალხის ღირსეული წარმომადგენლები

მიმდინარეობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია

ლენინგრადში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების მოსკოვის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა გაერთიანება „ელექტრომალის" მეგრაგნილეთა ბრიგადირმა ა. პ. ვასილიევამ. მან თქვა, რომ მთელ რიგ შრომითს კოლექტივებში გამართულ კრებებზე დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ვ. რომანოვი.

საოლქო საარჩევნო კომისიებისადმი ღია წერილიდან, თქვა შემდეგ ორატორმა, შევიტყვეთ, რომ გ. ვ. რომანოვი დათანხმდა კენჭი იყაროს ლენინგრადის მოსკოვის საარჩევნო ოლქში. ამ ამბავს კმაყოფილებით შეხვდა ოლქის ყველა ამომრჩეველი.

ს. მ. კიროვის სახელობის გაერთიანება „ელექტრომალის" ოსტატმა დამრიგებელმა, სოციალისტური შრომის გმირმა ი. ჯ. ვრუბლევსკიმ, აკადემიკოს ა. ნ. კრილოვის სახელობის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პარტკომის მდივანმა ი. ი. შაბლოვმა, გაერთიანება „სკოროხოდის" გენერალურმა დირექტორმა ი. ფ. ბოლშეშალსკიმ, სამშენებლო მანქანების ქარხნის ხარატმა, სოციალისტური შრომის გმირმა ე. ნ. მორიაკოვმა და სხვა ორატორებმა წინადადება წამოაყენეს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარონ გ. ვ. რომანოვი.

საოლქო საარჩევნო კომისიამ ერთხმად დაადგინა: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **გრიგოლ ვასილის ძე რომანოვი** რეგისტრაციაში გაატაროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ლენინგრადის მოსკოვის საარჩევნო ოლქში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს ლენინგრადის ლენინის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში რეგისტრაციაში გაატარეს საწარმოო სწავლების ინსტრუქტორი, ქალაქის № 90 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დამრიგებელი, სოციალისტური შრომის გმირი **ბორის ალექსანდრეს ძე ჟურავლოვი.**

გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს ლენინგრადის კიროვის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა. კომისიის თავმჯდომარემ, გაერთიანება „კიროვის ქარხნის" ხარატმა, სოციალისტური შრომის გმირმა ბ. მ. ვორობიოვმა განაცხადა, რომ გაერთიანება „კიროვის ქარხნის" ა. ა. ჟდანოვის სახელობის გემთსაშენებელი ქარხნისა და საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კიროვის საარჩევნო ოლქში დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **მიხეილ ანდრიას ძე სუსლოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების ლენინგრადის ოლქის ვოლხოვის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში რეგისტრაციაში გაატარა გაერთიანება „დეტსკოსელსკოეს" მეთაური საბჭოთა მეურნეობის მებოსტნეთა ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი **ვალენტინა რომანოვა ასული პარშინა.**

გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს კუნცევოს საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა. კომისიის თავმჯდომარემ რადიოტექნიკური ქარხნის მხეხავმა მ. ნ. ხრისტოფოროვმა განაცხადა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი დ. თ. უსტინოვი დათანხმდა კენჭი იყაროს კუნცევოს საარჩევნო ოლქში. ამ ამბავს კმაყოფილებით შეხვდნენ ოლქის ამომრჩეველები.

შემდეგ გამოვიდნენ მსუბუქი შენადნობების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პარტკომის მდივანი ი. გ. კულეშოვი, რუბლოვსკის წყალსადენის სადგურის ზეინკალი ვ. ა. მარკოზოვი, სკკპ კუნცევოს რაიკომის პირველი მდივანი ე. ვ. ოვსიანიკოვი, ნოგინის სახელობის ხელოვნური ტყავის ქარხნის კონტროლიორი რ. გ. მაშკოვიჩი, სრულიად საკავშირო ალკა კუნცევოს რაიკომის პირველი მდივანი ე. ვ. ბორზიხი, კამვოლის საწარმოო გაერთიანება „ოკტაბრის" საფაბრიკო კომიტეტის წევრი ა. გ. სიზოვა.

გამოხატეს რა თავიანთი კოლექტივების აზრი, მათ სთხოვეს დ. თ. უსტინოვი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარონ კუნცევოს საარჩევნო ოლქში.

ერთხმად მიიღეს დადგენილება: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კუნცევოს საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი **დიმიტრი თეოდორეს ძე უსტინოვი.**

მოსკოვეთის დედაქალაქში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების კიშინიოვის ლენინის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა. იგი გახსნა კომისიის თავმჯდომარემ. მოსკოვეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ი. კ. ვარტიანმა, რომელმაც თქვა, რომ მთელი რიგი საწარმოების კოლექტივების წინასაარჩევნო კრებებზე ამ ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. უ. ჩერნენკო. საოლქო საარჩევნო კომისიებისადმი ღია წერილიდან ამომრჩეველმა კმაყოფილებით შეიტყვეს, რომ კ. უ. ჩერნენკო დათანხმდა კენჭი იყაროს კიშინიოვის ლენინის საარჩევნო ოლქში.

სხდომაზე გამოვიდნენ კიშინიოვის სატრაქტორო ქარხნის ხარატი ი. ზ. კოტორობანი, ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „სტიაუა როშიეს" დირექტორი ლ. ა. ლუკიჩევა, რომლებმაც თავიანთი საწარმოების კოლექტივების სახელით წინადადება შეიტანეს კ. უ. ჩერნენკო რეგისტრაციაში გაა-

(დასასრული მე-2 გვ.).

ძმური ერთიანობის დიადი ძალა

(დასასრული)

ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ერთობლივმა ბრძოლამ კიდევ მეტად განამტკიცა, შეადუღება ჩვენი ძმობა. ეს დამაჯერებლად დაადასტურა ომის შედეგად დანგრეული მეურნეობის აღდგენის გმირულმა წლებმაც, რომლებიც ასე მკაფიოდ და შთამბეჭდავად აღწერა თავის წიგნში „აღორძინება“ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა. და, როგორც ზშირად ყოფილა, უკრაინას კვლავ მთელი ქვეყანა დაეხმარა, მთელი ქვეყნის ხალხთა, უწინარეს ყოვლისა, რუსი ხალხის ფასდაუდებელი მხარდაჭერის წყალობით, არნახულ მოკლე ვადებში — ხუთ წელიწადზე ნაკლებ დროში — აღდგა უკრაინის სს რესპუბლიკის ეკონომიკა.

ახლა უმაგალითოდ იცვალა სახე უკრაინამ, მთელმა ჩვენმა დიდმა სამშობლომ. ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, განგაგრძო ვ. ვ. შჩერბიცკიმ, წილად გვხვდა დიდი მისია — ვიყოთ ახალი ეპოქის პიონერები, სოციალიზმის პირველმკვალავნი. ჟეშმარიტად ისტორიული მიღწევებით აღინიშნა ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს ძლევამოსილი წინსვლა. ავიღოთ თუნდაც უკრაინის სს რესპუბლიკა. ინდუსტრიული პოტენციალით საბჭოთა უკრაინა დღეს, ხატგნვად რომ ვთქვათ, 1953 წლის თითქმის რვა უკრაინას უდრის! 25 წლის მანძილზე უკრაინაში ამოქმედდა ორი ათასზე მეტი ახალი სამრეწველო საწარმო. დნეპრის ჰიდროელექტროსადგურების კასკადი, ახალი შახტები, მეტალურგიისა და ქიმიის, მანქანათმშენებლობისა და ელექტრონული ტექნიკის გიგანტები, ხელოვნური არხები და ახალი ქალაქები — ყველაფერი ეს სულ მეოთხედი საუკუნის მანძილზე შეიქმნა. თვისებრივად ახალ დონეზე ავიდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაც. თუ 1953 წელს უკრაინაში 21,4 მილიონი ტონა პური მოიწეოს, შარშან მოწეულია 50,6 მილიონი ტონა. ამ ხნის მანძილზე ხორცის წარმოება გაიზარდა 2,5-ჯერ, რძისა — თითქმის 3-ჯერ, კვერცხისა — 3,4-ჯერ. ახალ მწვერვალებს მიაღწიეს უკრაინულმა საბჭოთა მეცნიერებამ და კულტურამ, რომლებმაც დამსახურებული აღიარება მოიპოვეს ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ.

როცა გონების თვალს ვავლებთ რუსი, უკრაინელი, ბელორუსი ხალხების, მთელი ძმური საბჭოთა ოჯახის მდიდარ ისტორიულ გამოცდილებას, ხაზი გაუსვა მომხსენებელმა, ჩვენ ერთხელ კიდევ ვეხებით ამ გამოცდილების გაკვეთილებს, რომლებიც ჩვენთვის მომავლის საიმედო ორიენტირია. და პირველი ეს გაკვეთილთაგანი ის გახლავთ, რომ ყოველთვის, ყოველ დროს, უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაშიც და ახალი ცხოვრების მშენებლობაშიც, ჩვენი ძლიერებისა და უძლეველობის საწინდარი დიდ რუს ხალხთან ურღვევი, ძმური კავშირი იყო და არის. უკრაინელი მშრომელებისათვის არ არსებობს უფრო მაღალი მოვალეობა, ვიდრე ის, რომ განამტკიცონ, ამრავლონ და განავითარონ ეს დიადი და სამარადისო კავშირი.

კაპიტალიზმის ბორკილისაგან განთავისუფლებისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის რუსი, უკრაინელი და სხვა საბჭოთა ხალხების ბრძოლის მთელი ისტორია, — განაგრძო მომხსენებელმა, — პროლეტარული ინტერნაციონალ ი ზმის დიადი სასწაულთხელო ძალის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების უკედავი დადასტურებაა. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მარქსისტულ-ლენინურ პრინციპებზეა დაფუძნებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთელი საქმიანობა.

ჩვენი პარტია შემოქმედებითად წყვეტს ეროვნული ურთიერთობის საკითხებს მთელი ქვეყნისა და ცალ-ცალკე თითოეული რესპუბლიკის ინტერესებისათვის, კომუნისტური მშენებლობის ინტერესებისათვის. იგი თანმიმდევრულად ადგას სოციალისტურ ერთა აყვავებისა და მათი თანდათანობით დაახლოების ლენინურ კურსს, ყოველ ღონეს ხმარობს, რომ მტკიცდებოდეს სსრ კავშირის ყველა კლასის სოციალური ჯგუფის ერისა და ეროვნების ერთობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლი, ნაცადი რაზმია უკრაინის კომუნისტური პარტია, რომელიც თავის რიგებში 100-ზე მეტი ეროვნების 2,8 მილიონზე მეტ კაცს აერთიანებს. თავისი დაარსების დროიდან უკრაინის კომპარტია მუდამ იყო, არის და იქნება სკკპ ცენტრალური კომიტეტის საიმედო დასაყრდენი ლენინური გენერალური ხაზის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა უკრაინის, ისევე როგორც მთელი ქვეყნის მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, სახალხო ინტელიგენცია თავის თავდადებულ შრომას, ენერგიას, შთაგონებას ახლა იხმარს სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას. შარშან გადაჭარბებით შესრულდა სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების გეგმა. შესრულდა აგრეთვე სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის, სელის მიყიდვის დავალებანი, გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, ამოქმედდა ბევრი ახალი საწარმოო სიმძლავრე და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტი, ამაღლდა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა.

ახლა პარტიული ორგანიზაციები და შრომითი კოლექტივები მთელ ყურადღებას უთმობენ ხუთწლედის დარჩენილი ორი წლის გეგმების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმის მიერ დასახული პასუხსაგები ამოცანების, 1979 წლის სოციალისტური ვალდებულებების შესრულებას.

მასების შრომითი აქტიურობის გაძლიერების, ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლის საუკეთესო გამოცდილებით გამდიდრების მძლავრი საშუალება გახდა უკრაინის ოლქების, ბევრი ქალაქისა და რაიონის, შრომითი კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრება რუსეთის ფედერაციის, ბელორუსიის, მოლდავეთის, ბალტიისპირეთის, ამიერკავკასიისა და შუა აზიის რესპუბლიკების ოლქებთან, ქალაქებთან, რაიონებთან და კოლექტივებთან. ეს შესანიშნავი შრომითი თანამეგობრობა მნიშვნელოვანი და ძვირფასი ჩვენთვის, რადგან ხელს უწყობს ინტერნაციონალიზმის პრინციპების განვითარებასა და განმტკიცებას ჩვენი ცხოვრების ყველაზე ღრმა საფუძველში — შრომის სფეროში.

საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის ინტერნაციონალიზაციის გაღრმავების ისეთი ფაქტორია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დინამიკური სფერო. მომხსენებელმა მოიყვანა დამაჯერებელი მაგალითები, რომლებიც მოწმობს, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე უკრაინის მეცნიერებმა ახალ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევის განვითარებაში. ეს მიღწევები შესაძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ მტკიცდება კავშირურთიერთობა, შემოქმედებითი თანამგობრობა მოსკოვის, ლენინგრადის, მოკავშირე რესპუბლიკების სამეცნიერო და საწარმოო კოლექტივებთან.

მთელი ხალხის საზოგადოებრივ შეგნებაში მომხდარი რევოლუციური გადატრალიების შედეგად ინტერნაციონალიზმი მეცნერიცხოვანი კომუნისტების იდეალიდან ყველა ეროვნების მილიონობით საბჭოთა ადამიანის ღრმა რწმენად და ქცევის ნორმად იქცა. და უკრაინელ მშრომელებს თავიანთ ინტერნაციონალურ მოვალეობად ის მიაჩნიათ, რომ დღენიადაგ გაზარდონ თავიანთი წვლილი ქვეყნის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის განტკიცებაში, ყოველნაირად განამტკიცონ ახალი ისტორიული ერთობის — საბჭოთა ხალხის საფუძვლები და ტრადიციები, აქტიური მონაწილეობა მიიღონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ბრძოლაში სოციალიზმის, საერთაშორისო მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძალების კავშირის გაძლიერებისათვის, მტკიცე მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის, შშრომელებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, ჩაუნერგონ შეურიგებლობა ყოველგვარი ეროვნული და რასობრივი ცრურწმენებისადმი, შეურიგებლობა ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლენებისადმი, ჩვენი მორალის ყოველგვარი დარღვევისადმი.

ეროვნული საკითხის გადაწყვეტის საბჭოურ გამოცდილებას უდიდესი ისტორიული, ჟეშმარიტად საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. იგი შემოწმებული ნიმუშია იმპერიალიზმის წინააღმდეგ, სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ყველა მებრძოლისათვის.

რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში ახლახან დამთავრებულმა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიამ, ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებებმა, თქვა შემდეგ ვ. ვ. შჩერბიცკიმ, მკაფიოდ და დამაჯერებლად ცხადყო, თუ რა აქტიურად უჭერს მხარს უკრაინელი ხალხი ჩვენი პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის, დიდი ლენინის საქმის ერთგული ვამრძელებლის, მშვიდობისათვის მგზნებარე მებრძოლის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნაყოფიერ საქმიანობას.

კრებებზე, წერილებში, პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით გამოსვლებში კომუნისტები, მუშები, კოლმეურნეები, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკები აღნიშნავენ, თუ რა უთვალსაჩინოეს როლს ასრულებს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში, მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემდგომ შემოქმედებითს განვითარებაში, ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ლეონიდ ილიას ძე დღენიადაგ ზრუნავს საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის, საყოველთაო მშვიდობის დაცვისა და განმტკიცებისათვის. და სავსებით კანონზომიერია, რომ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს თავიანთ პირველ დუპუტატობის კანდიდატად დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

საბჭოთა უკრაინის მშრომელთა სახელით ვ. ვ. შჩერბიცკიმ გამოხატა დიდი მადლიერება და გულითადი მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, დღენიადაგ რომ ზრუნავენ და ყოველმხრივ ეხმარებიან უკრაინის სს რესპუბლიკას ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, და აღუთქვა, რომ უკრაინელი ხალხი კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს ჩვენი საყვარელი სამშობლოს — დიადი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის აყვავებისათვის.

ამხანაგ მ. ს. სოლომენცევის გამოსვლა

ამ საზეიმო დღეს, თქვა მ. ს. სოლომენცევმა, წილად მხვდა დიდი პატივი — გულითადად მივულოცო საიუბილეო კრების მონაწილეებს, საბჭოთა უკრაინის ყველა მშრომელს ჩვენი საერთო შესანიშნავი დღესასწაული, რუსეთთან უკრაინის შეერთების 325 წლისთავი. დიდი სიხარულით, მხურვალედ და ძმურად მოგესალმებით და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ რუსი ხალხისა და რუსეთის ფედერაციის ყველა ხალხთა სახელით, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის სახელით.

სიამოვნებით ვასრულებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის დავალებას, და გადმოგცემთ, ძვირფასო ამხანაგებო, მის გულითად, მეგობრულ სალამს. ლეონიდ ილიას ძემ, რომელიც დიდად აფასებს ჩვენი რესპუბლიკების წვლილს საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწი ფ ოს განმტკიცების საქმეში, ჩვენი ქვეყნების ერებისა და ეროვნებების ახალი სოციალისტური ერთიერთობის ჩამოყალიბებაში, გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის მშრომელები კვლავაც თვალისჩინეოთ გაუფრთხილდებიან და განამტკიცებენ ხალხთა ძმურ, ინტერნაციონალურ მეგობრობას, კომუნიზმის გზით ჩვენი წინსვლის შემდგომი წარმატებების საფუძველს. ლეონიდ ილიას ძე გისურვებთ თქვენ, ამხანაგებო, ახალ მიღწევებს, ახალ თვალსაჩინო გამარჯვებებს ამ კეთილშობილურ საქმეში.

მრავალი საუკუნეა, ჩვენი ხალხები ადგანან ერთ გზას, ძმურად იზიარებენ გამარჯვებათა სიხარულს, ერთად არიან ჭირსა და ლხინში. მეგობრობა, ძმობა, ურთიერთდახმარება მტკიცედ დამკვიდრდა ჩვენს ცხოვრებაში როგორც ჰაერი, როგორც გულისძგერა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ თავიანთ გულთბილ, გულითად მისალმებაში მაღალი შეფასება მისცეს რუსეთის ფედერაციის პარტიულ, საბჭოთა ორგანიზაციების, ყველა მშრომელის, ისევე როგორც ჩვენი უკრაინელი ძმების მუშაობას კომუნისტური მშენებლობის გეგმების შესასრულებლად, საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობის განსამტკიცებლად. რუსეთის მშრომელები დიდ მადლობას მოახსენებენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საბჭოთა მთავრობას, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს ამ მაღალი შეფასებისათვის.

მისალმებაში ხაზგასმულია, თუ რა უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ხალხების ისტორიული ბედისათვის რუსეთთან უკრაინის შეერთებას. იგი შეესაბამებოდა მათს საარსებო ინტერესებს და განპირობებული იყო წარმოშობის ერთიანობით, ენების სიახლოვით, ოდინდელი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული კავშირურთიერთობით, საერთო მტრების წინააღმდეგ ერთობლივი განმათავისუფლებელი ბრძოლით. ნათელი ურღვევი მეგობრობა ჩვენმა ხალხებმა გამოატარეს საუკუნეთა მკაცრ განსაცდელში.

უკრაინელი და რუსი ხალხების ძმობა განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა და მარადიული გახდა პროლეტარიატის და მისი ხელმძღვანელის — ლენინური პარტიის რევოლუციურ ბრძოლაში, ოქტომბრის გამარჯვებისათვის, საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნისათვის. უკრაინისა და სხვა ხალხების საუკეთესო შვილები წითელგვარდიელთა ერთიან მწყობრში რუსებთან, პიტერის მუშებთან ერთად უტევდნენ ზამთრის სასახლეს. აბავი დროს ბრძოლა საბჭოების ხელისუფლებისათვის უკრაინაში, ბელორუსიაში, ამიერკავკასიაში, სხვა ადგილებში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის რუსეთის საერთო ბრძოლის განუყოფელი ნაწილი იყო. მხოლოდ ასეთი ერთიანობით გახდა შესაძლებელი ეს გამარჯვება მთელი მისი სისრულით, მთელი მისი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობით.

დიდი ლენინის ხელმძღვანელობით ჩვენმა პარტიამ აღმართა ხალხთა პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და მეგობრობის დროშა. ლენინური ეროვნული პოლიტიკის ნამდვილი ორგანუფი იყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნა. უკრაინელმა ხალხმა ერთ-ერთმა პირველმა დაუჭირა მხარი თავისუფალ ერთა ამ ძმური კავშირის შექმნას. ერთიანი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნამ, აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, დასახა ჩვენი სამშობლოს სოციალური, ეკონომიკური და კულტურული პროგრესის არნახული შესაძლებლობანი.

ჩვენი კავშირი, ჩვენი მეგობრობა, ჩვენი შრომითი სოციალისტური თანამშრომლობა მტკიცდებოდა და იწრთობოდა პირველი ხუთწლედების წლებში, როცა მთელი საბჭოთა ხალხების მეცადინეობით გოლიათურად — სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტისადმი.

სიტყვა ეძლევა რუსეთის ფედერაციის დელეგაციის ხელმძღვანელს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს მ. ს. სოლომენცევს.

„მარად მოსკოვთან, მარად რუს ხალხთან ერთად“ — ასე უწოდა თავის სურათს პერეიასლავის რადის შესახებ უკრაინელმა მხატვარმა მ. ხმელკომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა მარტო შევინარჩუნოთ, არამედ გადავაჭარბოთ მიღწეულ — ეს არის ჩვენი საფიქრალი.

საერთო-სახალხო საქმედ მიიჩნია ჩვენს პარტიამ რუსეთის არაშავმიწანადაგიანი ზონის გარდაქმნა. აქ ფართოდ არის გაშლილი მიწების მელიორაციისა და ქიმიზაციის, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების სამუშაოები, დიდი სახსრებია გამოყოფილი წარმოების განვითარებისათვის, სოციალურ-კულტურული მშენებლობის პროგრამის განხორციელებისათვის. ამ დიდ და მნიშვნელოვან საქმეში ყოველდღიურად ვგრძნობთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობის, პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ზრუნვასა და ყურადღებას.

ჩვენი თანამედროვე განვითარების დინამიზმი მკაფიოდ ვლინდება ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის, რესპუბლიკის ვრცელი ტერიტორიის ყველაზე დაშორებული კუთხეების საწარმოო ძალების მკვეთრი ზრდით. აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის რაიონების ბუნებრივ სიმდიდრეთა ათვისების ბაზაზე იქმნება სახალხო მეურნეობის დარგების განლაგების ახალი გეოგრაფია. ციმბირი და შორეული აღმოსავლეთი უზარმაზარი სამშენებლო მოედანია, რომელზეც აგებულია ან იგება ენერგეტიკული გიგანტები, იქმნება უდიდესი ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსები, სწრაფი ტემპით შენდება ბაიკალ-ამურის მაგისტრალი. აქ იქმნება მრავალდარგოვანი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, შენდება კეთილმოწყობილი ქალაქები და დაბები.

ამ დამკვრელურ მშენებლობებზე მტკიცდება და იწრთობა ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა და ძმობა, იზრდებიან ადამიანები — თავიანთი საქმისათვის თავდადებული ნი და ერთგული, საბჭოთა სამშობლოს მხურვალე პატრიოტები, ნამდვილი ინტერნაციონალისტები. შემთხვევითი რადი იყო, რომ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევისადმი საიან-შუშენსკოეს ჰიდროელექტროსადგურ ი ს მშენებლთა პატაკში სადგურის პირველი ამოქმედების შესახებ ნათქვამი იყო: ეს გამარჯვება უზრუნველყვეს 54 ეროვნების წარმომადგენლებმა, რომლებმაც მას ჩააქსოვეს თავიანთი გარჯა, თავიანთი ოსტატობა, თავიანთი მისწრაფება — ამრავლონ ქვეყნის სიმდიდრენი, ჩააყენონ ისინი კომუნიზმის სამსახურში.

რუსეთის ფედერაციის მშრომელთა სიამაყის საგანია კულტურის, განათლებისა და მეცნიერების დარგში მოპოვებული მიღწევები. ჩვენი რუსული, რუსეთის მრავალეროვნული კულტ ი ურ ისისტორიკებს ყოველივე საუკეთესოს, რასაც სხვა ხალხები ქმნიან. ამასთანავე მომძე ხალხები მისგან იღებენ სულიერ საზრდოს, რაც ეხმარება იცხოვრონ და იბრძოლონ კომუნიზმის იდეალებისათვის. მიმღინარეობს კულტურათა ურთიერთგამდიდრების მაცოცხლებელი პროცესი, და ეს პროცესი ღრმა ზემოქმედებას ახდენს მთელ ერთიან საბჭოთა სოციალისტურ კულტურაზე.

თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის ცხოვრება, თქვა შემდეგ ორატორმა, მჭიდროდ არის დაკავშირებული სხვა რესპუბლიკების ცხოვრებასთან. განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში, ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექს ი ს ფარგლებში სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება მათს საერთო შრომას სპეციალიზაციისა და კოოპერირების საფუძველ ზ ე. ჩვენი ხალხების მეგობრობის მკაფიო გამოხატულება გახდა სოციალისტური შეჯიბრება, რომელშიც რუსეთისა და უკრაინის მრავალი მხარე და ოლქი, ასობით ქალაქი და ათასობით მშრომელთა კოლექტივი მონაწილეობს. შრომითი მეტოქეობა, მოწონაე გამოცდილების გაზიარება — ყოველივე ეს მრავალგზის ამრავლებს ჩვენს შესაძლებლობებს კომუნისტური მშენებლობებ ი ს გეგმების რეალიზაციაში. ამით თვალსაჩინოდ ვლინდება ქვეყნის ყველა იმ ერთა და ხალხთა ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ინტერნაციონალიზაციისა და დაახლოების მზარდი პროცესი, რომლებიც შეადგენენ ადამიანთა ახალ დიად ისტორიულ ერთობას — საბჭოთა ხალხს.

ბურჟუაზიული პროპაგან დ ა ჩვენს დღეებშიც ჯიუტად ცდილობს როგორმე შეღღი ჩამოაგდოს ხალხებს შორის, გაგვიფუჭოს კეთილი ძმური ურთიერთობა. ამისათვის დასავლეთში არც ძალებს იშურებენ და არც სახსრებს. მოყაყანე ანტისაბჭოთა ანსამბლში ყველაზე მეტად გამოირჩევა გაბოროტებულ პეკინელ მმართველთა ჭიჭყინა და ბოღმით აღსავსე ხმა. მაგრამ ამავე დროს ბევრსაც გვაკვლებს. ოდ იჭაჭებიან. არ მოიპოვება ქვეყნად ძალა, რომელიც შეძლებდეს დაარღვიოს ჩვენი ხალხების ერთიანობა, მათი შეკავშირება მშობლიური ლენინური პარტიის გარშემო.

მარტო ჩვენი მეგობრები კი არა, მთელი მსოფლიო ხედავს, რა დიდ მწვერვალებს მიაღწია საბჭოთმა, თითოეულმა მოკავშირე რესპუბლიკამ. ეს წარმატებანი მუშების, გლეხების, ინტელიგენციის, ყველა ერისა და ეროვნების თავდადებული გარჯის შედეგია. ისინი მოწმობენ ლენინური პარტიის დიდ სიბრძნეს, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძლიერებასა და ცხოველმყოფლობას, პოლიტიკისას, რომელიც შეესაბამება ფართო მასების, ყველა ეროვნების ხალხთა ძირეულ ინტერესებს და მათი უსაზღვრო მხარდაჭერით სარგებლობს. ეს წარმატებანი ნაყოფია იმ ტიტანური ორგანიზატორული მუშაობისა, რომელსაც ეწევიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო და მისი მეთაური — თანამედროვეობის გამოჩენილი მოღვაწე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი. საბჭოთა კავშირის მშრომელები, ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრები დიდ მადლობას მოახსენებენ ლეონიდ ილიას ძეს, რომელიც დაუღალავად ზრუ ნ ავ ს სოციალისტური სამშობლოს, თითოეული რესპუბლიკის აყვავებისათვის, ხალხთა ძმური მეგობრობის, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის განმტკიცებისათვის. ისინი ჯეროვნად აფასებენ მის უდიდეს მეცადინეობას ქვეყნად ხანგრძლივი და მტკიცე მშვიდობის უზრუნველსაყოფად.

ამ საიუბილეო დღეებში ბევრ გულთბილ სიტყვას გამოთქვამენ რუს ხალხზე, მაღალ შეფასებას აძლევენ მის ბოლო წლილს ერთიან ძმურ ოჯახად საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის შეკავშირებაში. ამ გრძნობის სითბოს ვგრძნობთ დღესაც თქვენს მშვენიერ, ძველთაძველ და მარად ჭაბუკ ქალაქში, ვმირ ქალაქ კიევში, ამ შესანიშნავ დარბაზში. რუსეთის ფედერაციის მშრომელნი უაღრესად მადლიერნი არიან თქვენი ამ გულითადი ძმური გრძნობებისათვის. ნება მიბოძეთ, აღგითქვათ, ძვირფასო ძმებო, რომ რუსი ხალხი, საბჭოთა რუსეთის ყველა ხალხი კვლავაც დაუცხრომლად განამტკიცებენ ხალხთა ურღვევ მეგობრობას, თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციაში, ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებასა და აყვავებაში.

ამ სახელოვანი იუბილესადმი მიძღვნილი საყოველთაო-სახალხო ზეიმობის დროს, რომელიც ფართოდ აღინიშნება მთელ ჩვენს მრავალეროვან რესპუბლიკაში, ნება მიბოძეთ, რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მთავრობის, ყველა მშრომელის სახელით სიყვარულითა და ღრმა პატივისცემით მივმართო მოძმე უკრაინელ ხალხს. ნება მიბოძეთ, თქვა დასასრულ მ. ს. სოლომენცევმა, საბჭოთა უკრაინის ყველა მშრომელს ვუსურვო შემდგომი წარმატებანი კომუნიზმის მშენებლობაში, ვუსურვო ჯანმრთელობა, ბედნიერება და დღეგრძელობა ყოველ ოჯახს.

✦

ვ. ვ. შჩერბიცკის მოხსენება და მ. ს. სოლომენცევის გამოსვლა ყურადღებით მოისმინეს, დარბაზში ხშირად გაისმოდა ტაში.

✦

მოსკოვის კომუნისტთა მილიონიანი რაზმის, ყველა მოსკოველის სახელით კრების მონაწილეებს გულთბადად მიესალმა და კომუნისტური მშენებლობის ახალი წარმატებანი უსურვა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ვ. ნ. მაკეევმა. დღეს, თქვა-მან, განსაკუთრებით კარგად ჩანს, თუ რა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა უკრაინისათვის რუსეთთან შეერთებას. პრინციპი — „საუკუნოდ ერთად“, რომელიც 325 წლის წინათ გამოაცხადა ბოგდან ხმელნიცკიმ, ნიშნავდა, რომ მას შემდგ ორ დიდ ხალხს — უკრაინელ და რუს ხალხებს მუდამ ექნებოდათ ერთი საზრუნავი, ერთი მიზანი, ერთი ბედი და ერთი გზა ბედნიერებისაკენ.

დიდმა ლენინმა უკრაინელ მშრომელებს უწოდა რუსეთის მუშათა კლასის მოკავშირენი და ძმები სოციალიზმისათვის ბრძოლაში, იგი გამოთქვამდა რწმენას, რომ თანასწორთა ეს ნებაყოფლობითი კავშირი ყოველთვის მტკიცე და მძლავრი იქნება. უკრაინის ისტორია და დღევანდელობა თვალსაჩინოდ მოწმობს თუ რაოდენ სწორი და გამართლებული იყო ლენინის ეს რწმენა. თქვენი რესპუბლიკის მაგალითი ნათლად მოწმობს, თუ ჟეშმარიტად რა გრანდიოზული წარმატებების მიღწევა შეუძლია კომუნიზმის იდეალებით ფრთაშესხმულ თავისუფალ ხალხს, რომელიც მოძმე ხალხების მეგობრულ, ერთიან ოჯახად ცხოვრობს და შრომობს. ყველა საბჭოთა ადამიანი, და მათთან ერთად მოსკოველები, დიდ პატივს სცემენ შესანიშნავ უკრაინელ ხალხს, მაღალ შეფასებას აძლევენ მის უდიდეს წვლილს ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების განმტკიცებაში, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს, თუ რა მძიმე განსაცდელი და გაჭირვება გადაიტანა უკრაინელმა ხალხმა. რა გმირობა გამოიჩინა ომისათვის, რომ ასე — ერთად, სასახარულოდ და საბედნიეროდ აღინიშნა ეს დიდი დღესასწაული.

დღეს, თქვა შემდეგ ორატორმა, ჩვენ სიხარულით მოგახსენებთ, რომ მოსკოვის მშრომელები წარმატებით ახორციელებენ მეათე ხუთწლედის დავალებებს. მთელი ჩვენი მუშაობა მიმდინარეობს კიეველთა და მოსკოველთა, უკრაინისა და რუსეთის მშრომელთა, ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხთა მჭიდრო შემოქმედებითი თანამეგობრობით. აღვნიშნავთ რა ხალხთა მეგობრობის ამ დღესასწაულს, ჩვენ უღრმესი მადლიერების პირველი სიტყვით მივმართავთ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, რომელიც უნარიანად და თანამიმდევრულად წარმართავს ყველა საბჭოთა ადამიანის მეცადინეობას ამისათვის, „რომ შეასრულონ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმები და გაუმჯობესონ ხალხის კეთილდღეობა, შექმნან კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, უზრუნველყონ მშვიდობა.

სამ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ, აღნიშნა ედანოვის ქარხანა „აზოვფოლადის“ მეფოლადემ, ორგზის სოციალისტური შრომის გმირმა **გ. ი. გორბანმა,** სამუდამოდ შეერწყა ერთმანეთს რუსი და უკრაინელი ხალხის ისტორიული ბედი. მას შემდეგ ჩვენ მთელი განსაცდელისა და გაჭირვების ქარტეხილები ერთად გამოვიარეთ, გამოვიარეთ როგორც ძმებმა. ღღითი დღე მტკიცდება და ვითარდება ეს დიადი და ინტერნაციონალური ერთობა. საბჭოთა ხალხების ძმობის ცხოველმყოფელი ძალა, როგორც ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევმა აღნიშნა უკრაინის სს რესპუბლიკისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემისას წარმოთქმულ სიტყვაში, მკაფიოდ ვლინდება მათი შრომითი საქმეებით.

ურღვევი მეგობრობა და მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებთ დღეს დონეცკის, როსტოვისა და კემერეროვოს მეშახტეებს, დნეპრისპირეთისა და ურალის მეტალურგებს, ხარკოვის ოლქისა და ლენინგრადის მანქანათმშენებლებს. ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენს ქარხანაში ღირსახსოვარი იუბილეს აღსანიშნავად მეგობრობის ნადნობი გამოვუშვით. მას ადნობდნენ უკრაინის, დასავლეთ ციმბირისა და საქართველოს მეფოლადეები. ნადნობი შრომის ნამდვილ, სასახარულო დღესასწაულად გადაიქცა.

ოლქის კომუნისტებმა, ყველა მშრომელის სახელით ორატორმა აღუთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომ დონბასის, ისევე როგორც მთელი რესპუბლიკის მუშათა კლასი თავდადებული შრომით კიდევ უფრო გაუთქვამს სახელს ჩვენს დიდ და მშვენიერ მრავალეროვან სამშობლოს.

ხმელნიცკის ოლქის ტეოფიპოლის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ავრონომმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა **ზ. პ. ვოზნაიამ** განაცხადა: დიდ რუს ხალხთან, ჩვენს ღვიძლ ძმასთან ერთობლივმა ბრძოლამ, შრომამ, ბედმა, სიმღერებმა, პურმა დაგვაძმობილა.

საბჭოთა მეცნიერების კადრები

30 იანვარს მოსკოვში გაიხსნა სრულიად საკავშირო თათბირი, რომლის მონაწილენი განიხილავენ სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების ატესტაციის გაუმჯობესების აქტუალურ საკითხებს.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი შ. ვ. ზიმიანინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ა. კირილინი, ლ. ვ. სმირნოვი, მინისტრები, თვალსაჩინო მეცნიერები, წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების რექტორები.

ომისშემდგომ წლებში ათჯერ და მეტად გაიზარდა უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნიერო კადრების მომზადების მასშტაბები. ეს მეტყველებს მეცნიერების განვითარებაზე, წარმოების ტექნიკური დონის ამაღლების დიდ შესაძლებლობებზე. ამასთან ამჟამად ახალ, უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებენ სამეცნიერო კადრების მომზადებას.

ეს კადრები თავიანთი კვალიფიკაციით უნდა შეესაბამებოდნენ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის თანამედროვე ამოცანათა დონეს. ახალგაზრდა მეცნიერთა მომზადების გაუმჯობესების საქმეს საფუძვლად დაედო სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „სამეცნიერო და სამეცნიერო - პედაგოგიური კადრების ატესტაციის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". თათბირზე მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საატესტაციო კომისიის თავმჯდომარემ ვ. გ. კირილოვ-უგრიუმოვმა. მან ილაპარაკა იმ დიდ მუშაობაზე, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტიდან გამომდინარე ამოცანების რეალიზაციისათვის. (საკდესის კორ.).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. სხდომის მონაწილეებმა მოისმინეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის ინფორმაცია, აგრეთვე ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა საქალაქო, ახალქალაქის, დუშეთის, გორის რაიონული საბჭოების აღმასკომების, აგრეთვე საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ინფორმაციები არჩევნებისათვის მზადების შესახებ.

სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში დროულად, სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის შესაბამისად დაიწყო ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნებისათვის მზადება. ტრადიციისამებრ საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, ცდილობენ ახალი შრომითი მიღწევებით შეხვდნენ არჩევნებს. სწარმოებსა და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის მეოთხე წლის გეგმებისა და ვალდებულებების ვადამდე შესრულებისათვის.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაავალა უზრუნველყონ საარჩევნო კამპანიის მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარება. ამ მიზნით, აღინიშნა სხდომაზე, საჭიროა არჩევნებამდე დარჩენილი დროის მაქსიმალური გამოყენება ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის კიდევ უფრო გაფართოებისა და გაღრმავებისათვის.

სხდომაზე განიხილეს აგრეთვე საკითხი, თუ რა ღონისძიებები უნდა განხორციელდეს საქართველოს სს რესპუბლიკაში **ბავშვის საერთაშორისო წლის ჩატარებასთან დაკავშირებით.**

მიღებულ დადგენილებაში უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასს რესპუბლიკისა და აჭარის ასს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომს, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს შესაბამის ორგანიზაციებში, საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებები ბავშვებისა და მოზარდების ჯანმრთელობის დაცვის, სწავლისა და აღზრდის კანონმდებლობის განხორციელებისადმი კონტროლის გაძლიერებისათვის. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ამას, რომ ყველა აუცილებელი პირობა შეიქმნას ბავშვების ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი განვითარებისათვის, ბავშვების აღზრდისა და მათი ინტერესების დაცვისათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშობლების პასუხისმგებლობის ასამაღლებად.

პრეზიდიუმმა მოისმინა ქალაქ თბილისის ლენინის რაიონსა და ზესტაფონის რაიონში ამხანაგური სასამართლოებისა და ამხანაგურ სასამართლოთა მუშაობის საზოგადოებრივი საბჭოების საქმიანობის საკითხი.

აღინიშნა, რომ ამ რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად გარკვეული მუშაობა გასწიეს ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საქმეში ამხანაგური სასამართლოების როლის ასამაღლებლად. ძირითადად ისინი დროულად და სწორად განიხილავენ საქმეებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი დატაცების, შრომისა და საწარმოო დისციპლინის, აგრეთვე სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმების დარღვევების გამო. ამასთან, აღინიშნა სხდომაზე, თბილისის ლენინის რაიონისა და ზესტაფონის რაიონის ამხანაგური სასამართლოების საქმიანობა ჯერ კიდევ არ შეესაბამება მათ შესახებ ახალი დებულების მოთხოვნებს. საზოგადოებრივი საბჭოებიც სათანადოდ და ეფექტიანად არ ეხმარებიან ამხანაგურ სასამართლოებს.

მიღებულ დადგენილებაში დასახულია ამხანაგური სასამართლოების საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

სხდომაზე მოისმინეს საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ჩაიარა მოსახლეობის საკავშირო აღწერამ რესპუბლიკაში, აგრეთვე ინფორმაცია მიღებული დოკუმენტაციის შემდგომი დამუშავების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს სხვა საკითხებიც.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი

გაიმართა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის სხდომა. სხდომაზე განიხილეს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა ამოცანები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით და შეიმუშავეს შესაბამისი რეკომენდაციები. (საქინფორმი).

1979 4 თებერვალი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეა!

ხალხის ღირსეული წარმომადგენლები

მიმდინარეობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია

(დასასრული)

ატარონ დეპუტატობის კანდიდატად. ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს ქარხანა „სიგნალის" პარტკომის მდივანმა კ. ლ. სეკრეტრემ, საოლკომიტეთო დეპუტატ ზეინკალთა ბრიგადირმა ვ. გ. კარანფილმა, № 1 საქალაქო სამედიცინო გაერთიანების მთავარი ექიმის მოადგილემ რ. მ. კუზნეცოვამ.

საოლქო საარჩევნო კომისიამ ერთხმად დაადგინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კონსტანტინ ანდრეევიჩ ოზერინი, ეროვნული საარჩევნო ოლქის საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატაროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **კონსტანტინ უსტინის ძე ჩერნენკო.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების კონინოვის ოქტომბრის საარჩევნო ოლქის საოლქო-საარჩევნო კომისიამ ამ ოლქში დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა კონინოვის № 4 რკინა-ბეტონის ნაწარმისა და დიდანგელიანი სახლთმშენებლობის ქარხნის მეარმატურეთა კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი **ვერა პეტრეს ასული ბუგა.**

უკრაინის დედაქალაქში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების კიევის ლენინის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ, კიევის № 77 საშუალო სკოლის დირექტორმა გ. ე. გლუშჩენკომ. მთელი რიგი საწარმოების კოლექტივებმა, თქვა მან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის თავიანთ კანდიდატად დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. შჩერბიცკი. ოლქის ამომრჩევლებმა კმაყოფილებით შეიტყვეს, რომ ვ. ვ. შჩერბიცკი დათანხმდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კენჭი იყაროს კიევის ლენინის საარჩევნო ოლქში.

შემდეგ გამოვიდნენ მთავარკიევქალაქმშენის „მშენმექანიზაციის" ტრესტის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს ექსკავატორის მემანქანე ნ. პ. კარპენკო, კომპოზიტორი ე. ნ. ზუბკოვი, პარტიის ლენინის რაიკომის მდივანი ი. ა. ნადკერნიჩნი და სხვები, რომლებმაც თავიანთი კოლექტივების სახელით წინადადება შეიტანეს ვ. ვ. შჩერბიცკი რეგისტრაციაში გაატარონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

საოლქო საარჩევნო კომისიამ ერთხმად მიიღო დადგენილება: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კიევის ლენინის საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატაროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვლადიმერ ვასილის ძე შჩერბიცკი.**

კიევის მოსკოვის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში რეგისტრაციაში გაატარა უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი **ბორის ევგენის ძე პატონი.**

დნეპროპეტროვსკის ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის მეტალურგიული ქარხნის ცხელი გლინვის დგანის ოპერატორი **ვლადიმერ ხარტონის ძე სოკოლი** საოლქო საარჩევნო კომისიამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა დნეპროპეტროვსკის ოლქის დნეპროძერჟინსკის საარჩევნო ოლქში.

ქალაქ მოსკოვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების კიროვის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა მყარი შენადნობების კომბინატის მწნეხავი **ვალენტინა მიხეილის ასული ტერეხოვა.**

ბაქოს ლენინის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა გახსნა მისმა თავმჯდომარემ, მანქანათაშენებელი ქარხნის „ბაკინსკი რაბოჩის" ხარატმა რ. ფ. შახბაზოვმა. მან თქვა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ა. ალიევი დათანხმდა კენჭი იყაროს ამ ოლქში.

სხდომაზე გამოსულმა კომისიის წევრებმა შეიტანეს წინადადება გ. ა. ალიევი რეგისტრაციაში გაატარონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

საოლქო საარჩევნო კომისიამ ერთხმად დაადგინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატაროს ოლქში რეგისტრაციაში გაატაროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **გეიდარ ალი რზა ოღლი ალიევი.**

ბაქოს ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში „ნავთობის ქვების" საბურღ სამუშაოთა საზღვაო სამმართველოს ბურღვის ოსტატი, სოციალისტური შრომის გმირი **ისრაფილ სამი ოღლი გუსეინოვი.**

გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მოსკოვის ოლქის ლიუბერეცის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა.

კომისიის თავმჯდომარემ, უხტომსკის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნის მეყალბემ ა. ი. კაპირინმა განაცხადა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი პ. ნ. დემიჩევი დათანხმდა დეპუტატად კენჭი იყაროს ამ ოლქში.

თავიანთ გამოსვლებში კომისიის წევრებმა წინადადება შეიტანეს პ. ნ. დემიჩევი რეგისტრაციაში გაატარონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

საოლქო საარჩევნო კომისიამ ერთხმად დაადგინა — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში რეგისტრაციაში გაატარა სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი **ანატოლი პეტროვიჩ ალექსანდროვი.**

ლენინგრადის ოლქის ლენინგრადის ოლქის საარჩევნო ოლქში საოლქო საარჩევნო კომისიამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა მონინოს კამოლოვის ტექნიკურ ლაბორატორიის ინჟინერ-ტექნიკოსი **ლიუდმილა ალექსანდრეს ასული ბოგატოვა.**

ბაკინის საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 739 ზნაურის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომამ, რომელიც კომისიის თავმჯდომარემ ს. ვ. თადევოზმა გახსნა, ერთხმად დაადგინა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამ საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარონ **ალექსანდრეს ასული ბიგვავა.**

გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 490 ოჩამჩირის საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარონ **გუნდა სარდიონის ასული ბიგვავა.**

გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 669 რუსთავის საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარონ **ედანდი ვასილის ძე კოლბინი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 739 ზნაურის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომამ, რომელიც კომისიის თავმჯდომარემ ს. ვ. თადეევმა გახსნა, ერთხმად დაადგინა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამ საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარონ **ბუნდა სარდიონის ასული ბიგვავა.**

„ჭიათურმანგანუმის" სამთამადნო კომბინატის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთასამართველოს გვირაბგამყვანი **პეტრე ნიკოლოზის ძე ჩიტაძე** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში არის გატარებული № 192 ჭიათურის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის დადგენილებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების №483 სოხუმის სასოფლო საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს სსრ მეცნიერებთა აკადემიის პრეზიდენტი **ევგენი კირილეს ძე ხარაძე.**

№ 174 გურჯაანის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში არის გატარებული სოფელ ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის" მევენახე **თეიმურაზ შოთას ძე შოშიაშვილი.**

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მდნობელთა ბრიგადის ხელმძღვანელი **ოთარ ალექსანდრეს ძე გაჩიჩილაძე** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს № 665 ზესტაფონის საარჩევნო ოლქში.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 487 გუდაუთის სასოფლო საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ თავის სხდომაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს № 665 ზესტაფონის საარჩევნო ოლქში.

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 487 გუდაუთის სასოფლო საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ თავის სხდომაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა სოფელ ლიხნის XXIV პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ხაკობეი კაფოს ძე აიბა.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 189 ცხაკაიას საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომამ გადაწყვიტა დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში რეგისტრაციაში გაატაროს სოფელ ზორშის კოლმეურნეობა „გამარჯვების" მეჩაი **ეთერ მაქსიმეს ასული დადიანი.**

(საქინფორმი).

საერთაშორისო ცხოვრიდან

ლ. ბრეჟნევის ფიგურები ინდოეთში

დელი, 29 იანვარი. (საკდესი). აქ გაიმართა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებების „მცირე მიწისა" და „აღორძინების" გამოსვლას. ისინი ჰინდი ენაზე გამოუშვა გამომცემლობა „შაბადკარმა". მიტინგს ესწრებოდნენ ინდოეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და თავდაცვის მინისტრი ჯაგჯივან რამი, ინდოეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებების წიგნი ამაღლებულად მოგვითხრობს საბჭოთა ხალხის გმირობის შესახებ ომის წლებსა და მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში, თქვა თავის გამოსვლაში ჯ. რამმა.

ეს წიგნები, რომლებიც გამსჭვალულია აზრით, რომ საჭიროა ბრძოლა კაცობრიობის მშვიდობიანი მომავლისათვის, დაწერა თანამედროვეობის გამორჩენილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, იმ ქვეყნის ლიდერმა, რომელთანაც ინდოეთს ყველაზე ახლო, მეგობრული ურთიერთობა აქვს.

საბჭოთა კავშირი, ხაზგასმით აღნიშნა ჯ. რამმა, ყოველთვის ეხმარებოდა ინდოეთს ძნელბედობის ჟამს, როცა ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს საფრთხე ემუქრებოდა. დღეს ორივე ქვეყანა ერთნაირ პოზიციას ადგას ბევრი საგარეო პოლიტიკური პრობლემის გამო. მათ აერთიანებთ ბრძოლა მსოფლიო იმპერიალიზმის ძალთა წინააღმდეგ, უსამართლობისა და ხალხთა ჩაგვრის წინააღმდეგ. ინდოეთი ესწრაფვის კარგი ურთიერთობის დამყარებას ყველა ქვეყანასთან, მაგრამ საბჭოთა კავშირი ჩვენი ყველაზე ახლო მეგობარია. ეჭვი არ არის, რომ მომავალში ეს მეგობრობა განმტკიცდება და განვითარდება.

უმაგალითო წარმატება

კამპალა. (საკდესის კორ.). უგანდაში უმაგალითო წარმატებით ჩაიარა საბჭოთა მსახიობების ჯგუფის გამოსვლამ რუსეთის სფსრ სახალხო არტისტის შ. ხ. იაგუდინის ხელმძღვანელობით.

საბჭოთა ხელოვნების წარმომადგენლებმა კონცერტების სერია გამართეს რესპუბლიკის დედაქალაქსა და ქალაქებში ბომბოსა და ჯინჯაში. მათ ყველგან გულთბილად ხვდებოდნენ მაყურებლები. მჭეხარე ტაშით აჯილდოებდნენ საქართველოს სსრ სახელმწიფო ანსამბლის „რეროს" გამოსვლას. უმაღლეს შეფასებას იმსახურებს ქართველ მომღერალთა და მუსიკოსთა ვირტუოზული ოსტატობა, არტისტიზმი და შესრულების ორიგინალური მანერა — ასეთია თეატრალური კრიტიკოსებისა და მმართველების ერთსულოვანი აზრი.

„რეროს" წარმატება სამართლიანად გაიზიარეს „მოსკონცერტის" წარმომადგენლებმა. რუსული ხალხური ცეკვების შემსრულებლებმა, ბალეტის მსახიობებმა და ესტრადის ბევრმა სხვა ოსტატმა მოხიბლა უგანდელები.

პეკინის საშიში პროვოკაციები

პანო, 29 იანვარი. (საკდესი). ჩინეთის ხელისუფალნი აძლიერებენ შეიარაღებულ პროვოკაციებს ვიეტნამის საზღვარზე. როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, 26 იანვარს ჩინეთის შეიარაღებული ძალების ქვეგანყოფილებამ შეიჭრა ვიეტნამის ტერიტორიაზე ხოანგლიენშონის პროვინციაში. ჩინელებმა ცეცხლი დაუშინეს ვიეტნამელ მესაზღვრეებს. მეორე დღეს ჩინელი ჯარისკაცები კვლავ შეიჭრნენ ვიეტნამის ტერიტორიაზე იმავე რაიონში და შეიარაღებული პროვოკაცია მოაწყვეს. ვიეტნამის ჯარები იძულებული გახდნენ საპასუხო ღონისძიებება ეხმარათ თავიანთი ტერიტორიის დასაცავად.

სააგენტო აღნიშნავს, რომ პეკინის ხელისუფალთა შეიარაღებული პროვოკაციები, განუწყვეტელი მუქარა სოციალისტური ვიეტნამის მისამართით მთელი ვიეტნამელი ხალხის მტკიცე პროტესტსა და გულისწყრომას იწვევს.

ნიუ-იორკი, 29 იანვარი. (საკდესი). ამერიკის ყოველკვირეული „ნიუსუიკი" იმოწმებს შეერთებული შტატების სადაზვერვო წყაროებს და იუწყება, რომ ჩინეთმა ვიეტნამის საზღვართან თავი მოუყარა 80-120 ათას ჯარისკაცს, აგრეთვე სამხედრო თვითმფრინავების ესკადრილიებს. ზოგიერთი ანალიტიკოსი, წერს ყოველკვირეული, ვარაუდობს, რომ პეკინმა შეიძლება დაარტყას ვიეტნამს, რათა, როგორც ჟურნალი აღნიშნავს, დროებით მიიტაცოს მისი ტერიტორიის ერთი ნაწილი.

ჟურნალის მტკიცებათა თანახმად, პეკინმა შეიძლება განაცხადოს, რომ ამ მოქმედებას მიმართავს „კამპუჩიაში ჩინეთის მოკავშირეთა" დამარცხების პასუხად. ყოველივე ეს შეიძლება ბლეფი გამოდგეს, აღნიშნავს „ნიუსუიკი", მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატებს სახელმწიფო დეპარტამენტის ექსპერტმა განაცხადა, რომ საზღვართან თავმოყრილი ჯარები „გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანია, ვიდრე ეს ძალის უბრალო დემონსტრაციისათვის არის საჭირო". ამავე წყაროს ჟურნალის განუცხადა: „ჩვენ ასევე ვვაფუჩუნებს ისიც, რომ ვიეტნამში შეჭრა შეიძლება მოხდეს ამერიკის შეერთებულ შტატებში დენ სიაოპინის ვიზიტის შემდეგაც, და შეიძლება იგონონ, თითქოს ჩვენ (ანუ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა) მივეცით ჩინელებს საამისო სიგნალი".

სოფია, 29 იანვარი. (საკდესი). სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ჩინეთის პოლიტიკის მიზანია არ დაიცხროს დაძაბულობა მთელ ამ რაიონში და ხელი შეუშალოს ვიეტნამს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში, წერს გაზეთი „პოგლედი". სოციალისტური ვიეტნამის თანამშრომლურად ატარებს მშვიდობისმყვარულ პოლიტიკას. მაგრამ იგი არ დაუშვებს თავისი საბობლოს ხელშეუხებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას. მის მხარეზეა მთელი პროგრესული სამყარო. პროვოკაციებისა და მუქარისათვის პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრებათ ჩინეთის მმართველებს, რომლებიც აგრესიულ მეგამონისტურ კურსს ახორციელებენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

ნიუ-იორკი, 30 იანვარი. (საკდესი). იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტო გადმოსცემს: ჰონკონგში დასავლეთის მეთვალყურენი აღნიშნავენ, რომ ვიეტნამის მოსაზღვრე ორ რაიონში ჩინელები თავს უყრიან არტილერიას, ქვეით ჯარსა და სამხედრო-საჰაერო ძალებს. ვაშინგტონის ოფიციალური წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ ჩინეთმა, შესაძლოა საზღვარზე სულ ცოტა 150 ათასი კაცით გაზარდა თავისი საბრძოლო ძლიერება და თავი მოუყარა აქ სამხედრო თვითმფრინავების რამდენიმე ესკადრილიას.

მტკიცედ დავიცვათ სოციალისტური კანონიერება

მეტი პრინციპულობა, მეტი მომთხოვნელობა

სწორედ ახლა, სწორედ დღეს უნდა გავშალოთ ყველამ უფრო ფფექტიანი, უფრო ქმედითი და უკომპრომისო ბრძოლა რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროში, ყველა რგოლში სოციალისტური მართლწესრიგის დარღვევების, დამნაშავეობის, მეჭრთმეობის, ბიუროკრატიზმის და საერთოდ ყოველგვარი ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ, თუ გვინდა აღმოვჩნდეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის მოთხოვნათა სიმაღლეზე, თუ გვინდა ერთგულნი ვიყოთ კურსისა, რომელმაც მიღწეული პრაქტიკული შედეგებით თვალნათლივ ცხადყო აღებული გეზის სისწორე და ცხოველმყოფელობა.

პლენუმზე სრულიად სამართლიანი საყვედური გამოითქვა, და ეს ხაზგასმით აღინიშნა აგრეთვე ახლახან გამართულ საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის XXXVII კონფერენციაზე, რომ ამ ბრძოლაში ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი ადმინისტრაციული ორგანოების მონაწილეობა, არ არის მიღწეული მათი საქმიანობის სასურველი ეფექტიანობა. უფრო მეტიც, ვფიქრობ ამ ორგანოებში არ არის დამყარებული მტკიცე სახელმწიფოებრივი წესრიგი; სამართალდარღვევათა მიმართ გულგრილი, ლოიალური დამოკიდებულების, ცალკეულ მუშაკთა მიერ ანგარების მიზნით თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და სხვა დაუშვებელი, ადმაშფოთებელი გადახვევების ფაქტები კი არც თუ ისე იშვიათია. ყოველივე ეს, ცხადია, პროკურატურის ორგანოებსაც ეხება, რომლებსაც ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის განსაკუთრებული როლი განეკუთვნება, ვინაიდან სწორედ მათ ეკისრებათ პასუხისმგებლობა კანონიერების დაცვის მდგომარეობისათვის არა მარტო თავის სისტემაში ან სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში, არამედ მთლიანად რესპუბლიკაში. სწორედ პროკურატურის მუშაკთა უმეტესობა, პრინციპული და „გულსხმიერი მუშაობა მნიშვნელოვნად განაპირობებს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებას.

ყველაფერი ვიღონეთ თუ არა იმისათვის, რომ პროკურატურის ორგანოებში აღმოგვეფხრა ბიროკრატმოქმედების, სამართალდარღვევათა მიმართ წაყრუების, გულგრილობის შემთხვევები? რამდენად მკაცრნი ვიყავით სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დამრღვევთა მიმართ? რამდენად ეფექტიანი იყო ჩვენი ღონისძიებები, რომ პროკურატურის სისტემაში დაგვემყარებინა სანიმუშო, ბოლშევიკური წესრიგი?

აი ის კითხვები, რომლებზეც კონკრეტული და ყოვლისმომცველი პასუხის გაცემას ჩვენგან მოითხოვს პარტია, ჩვენი საზოგადოების თითოეული წევრი.

პირდაპირ ვიტყვით, რომ დღევანდელ ეტაპზე რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მოთხოვნა ჯერ კიდევ მთლიანად არ არის შესრულებული. სამწუხაროდ, პროკურატურის ორგანოებში ჯერ კიდევ ბოგინობენ ბიუროკრატები, კარიერისტები, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიით შეპყრობილი არაკეთილსინდისიერი მუშაკები; მათ მიმართ ზოგან დღემდე არ არის შექმნილი შეურიგებლობის ატმოსფერო, შესუსტდა პროკურატურის ორგანოების პარტიული ორგანიზაციების პოლიტიკურ-ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა.

რით შეიძლება აიხსნას შექმნილი ვითარება? მრავალ მიზეზთა შორის, მთავარი მაინც ის არის, რომ რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელობამ, მისმა კოლეგიამ ფეხი ვერ აუწყვეს პლენუმის მიერ დასახულ კურსს და მთელი ორგანიზატორული მუშაობა პლენუმის გადაწყვეტილებათა ფორმალური განხილვა-მოწონებით გამოიხატა. მუშაობის რუტინულ სტილს ის მოჰყვა, რომ რესპუბლიკის პროკურატურა ხშირად საქმის კურსში არ იყო, თუ რა ხდებოდა ადგილებზე, იჩქმალებოდა დისციპლინის დარღვევის, უკონტროლობის გამო უდანაშაულო მოქალაქეთა პასუხისგებაში მიცემისა და დაპატიჟრების ფაქტები. გაუმართლებლად დიდხანს და უსაფუძვლოდ ჭიანურდებოდა სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიება. ზოგჯერ საქმე იქამდეც კი მიდიოდა, რომ ზოგიერთი პროკურორი რესპუბლიკის პროკურატურის დავალებასაც კი უგულებელყოფდა.

მივიწყებული იყო პრაქტიკით დამტკიცებული ჭეშმარიტება, რომ დამნაშავეობასთან, ყოველგვარ ანტისაზოგადოებრივ მოვლენასთან ბრძოლის ეფექტიანობის საწინდარია ყველა სამართალდაცვის ორგანოთა კოორდინირებული მოქმედება. ასეთი კოორდინაციის უქონლობის შედეგი იყო ის, რომ რესპუბლიკაში გართულდა ოპერატიული ვითარება და ბევრი მძიმე დანაშაული დღემდე გაუხსნელია. პროკურატურა ვერ ასრულებდა თავის მთავარ ფუნქციას — შინაგან საქმეთა, სასამართლოს და იუსტიციის ორგან

„კომუნისტის“ კალენდარი

სამშობლო მხარეს ემახსოვრება

ვალერიან გაფრინდაშვილის დაბადების 90-ე წლისთავის გამო

ვალერიან გაფრინდაშვილის თავისი თაობის პოეტებმა „შეუცდომელი“ უწოდეს.

არის ამ სიტყვაში ღრმა და ზუსტი აზრი არა მხოლოდ იმ გაგებით, რომ ის იყო უტყუარი გემოვნების ოსტატი, ლიტერატურის, საერთოდ, ხელოვნების დიდი მცოდნე და პირუთვნელი შემფასებელი, რომ მას თან დაჰყვა სამყაროს ბასრი პოეტური შეგრძნება და გამჭრიახი თვალი. ამ სიტყვაში მისი პიროვნებისთვის დამახასიათებელი, განსაკუთრებული ზნეობრივი სიფაქიზეც და შინაგანი სტოიციზმიც იგულისხმება, ანუ ის თვისება, რომლისთვისაც მას მთელი ცხოვრების მანძილზე არ უღალატნია.

პოეზია ვალერიან გაფრინდაშვილისთვის წარმოადგენდა ადამიანის სულიერი განწმენდისა და ამაღლების ყველაზე სრულქმნილ საშუალებას და საკირველი აღარ არის, რომ მან საკუთარი ცხოვრების წესი და ზნეობრივი კრედო ასე განსაზღვრა:

ვიყავი მხოლოდ ლექსით
მდიდარი,
არ მიძებნია მეტი ჭონება,
და ლექსის გარდა არავითარი
მე არ მხიბლავდა სხვა
შთაგონება.

ნუ ვიფიქრებთ, რომ აქ პოეტის საცხოვრისი — მისი ქმედებისა და შთაგონების არე — ზედმეტი სიძუნწითაა შემოღობილი. გავიხსენოთ რამხელა სივრცეს, რა მასშტაბის ეთიკური ღირებულებათა სამკვიდრებელს გულისხმობდა ამ სტრიქონების ავტორი სიტყვა „ლექსში“. ამას ხომ უკვე ესთეტიზმის „სპილის ძვლის კოშკიდან“ ჩამოსული და „მიწასთან დაბრუნებული“ პოეტი წერს (1926).

სხვათა შორის ყველამ უნდა იცოდეს, რომ ლოზუნგი „დაბრუნება მიწასთან“ (1925) XX საუკუნის ქართულ პოეზიაში სწორედ ვალერიან გაფრინდაშვილს ეკუთვნის.

ეს ის ლოზუნგია, რომელიც მისმა ლიტერატურულმა თანამებრძოლებმა — ყოფილმა „ცისფერყანწელებმა“ აიტაცეს და რასაც თან მოჰყვა ახალი ეტაპი მათი პოეტური ბიოგრაფიისა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „დაბრუნების“ არსი ვალერიან გაფრინდაშვილმა ითვალისწინა ფართო სოციალური მნიშვნელობით გააზრა. თუ 1921 წლით დათარიღებულ წერილში „სანელების მაგია“ ის, თავისი ბეჯელი სიმბოლისტური რწმენისამებრ, სულიერი ქმნადობის უმაღლეს ფორმას (ლირიკას) „სპილოს ძვლის კოშკად“ აცხადებდა, სულ რამდენიმე წლის შემდეგ რევოლუციით შთაგონებულ სიზეიმო ოდაში პოეტი ხაზგასმით (ადვილად შესამჩნევი ირონიით) ემიჯნება პოეზიის, შემოქმედების, საერთოდ სულიერი აქტივობის ამგვარ გაგებას:

რევოლუცია ასრულებდა
უძნელეს როლებს:
ის იყო გმირი და პატიმარი,
ის ატარებდა მრავალ სახეს,
იხდიდა ბრძოლებს,
მუდამ მამაცი და მოღიმარი.
...სპილოს ძვლის კოშკზე
არასოდეს არ უფიქრია,
იყო სამსხვერპლო მისი
კოშკი თვით სახრჩობელა;

ასეთი ძირეული გარდაქმნა თავისთავად კანონზომიერია. მართლაც, ძნელი დასაჯერებელი იქნებოდა ისეთ პოეტებს, რომელთა წყებასაც ვალერიან გაფრინდაშვილი ეკუთვნოდა — განახლების, გარდატეხის, გარდაქმნის წყურვილით შეპყრობილ ახალგაზრდა შემოქმედთ — ადრე თუ გვიან არ იხელოდათ თვალი მათი გარემომცველი სამყაროს რეალურ ფერისცვალებაზე.

შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ნაბიჯის აუცილებლობა ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებით ევოლუციაში მომზადებული იყო მისი ადრინდელი პოეტური ნაზარევის, მისი საკუთრივ-სიმბოლისტური მიწამსის ერთი საგულისხმო თავისებურებითაც. 1922 წელს გამოქვეყნებულ „დეკლარაციაში“, რომლის ქვესათაურია „ახალი მითოლოგია“, პოეტი შენიშნავს: „დღეს პოეზია ქმნის რეალურ სახეებიდან სიმბოლოებს, ქმნის ახალ მითებს. წარმართულმა და ქრისტიანულმა მითოლოგიამ დაკარგა თავისი კავშირი ჩვენ შეგნებასთან და პოეტიც სხვა ობიექტებს ეძებს თავისი შემოქმედებისათვის. ძველი მითები არავის არ სწამს, იმავე დროს ჩვენ გვინდა მითი, ჩვენ გვწყურია მითი“.

„დეკლარაციაში“ გამქდავნებული წყურვილი „რეალური სახეებიდან“ „ახალი მითების“ შექმნისა თითქოს აშკარად მიგვანიშნებს იმ კანონზომიერი გამოსავლისკენ, რომელიც ამ წყურვილით ამოძრავებულ შთაგონებას უნდა ეპოვნა.

ნიშანდობლივია, რომ ვალერიან გაფრინდაშვილმა, ერთ-ერთმა პიონერთა შორის ყველამ უნდა იცოდეს, რომ „დაბრუნება“ (1925) XX საუკუნის ქართულ პოეზიაში სწორედ ვალერიან გაფრინდაშვილს ეკუთვნის.

ეს ის ლოზუნგია, რომელიც მისმა ლიტერატურულმა თანამებრძოლებმა — ყოფილმა „ცისფერყანწელებმა“ აიტაცეს და რასაც თან მოჰყვა ახალი ეტაპი მათი პოეტური ბიოგრაფიისა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „დაბრუნების“ არსი ვალერიან გაფრინდაშვილმა ითვალისწინა ფართო სოციალური მნიშვნელობით გააზრა. თუ 1921 წლით დათარიღებულ წერილში „სანელების მაგია“ ის, თავისი ბეჯელი სიმბოლისტური რწმენისამებრ, სულიერი ქმნადობის უმაღლეს ფორმას (ლირიკას) „სპილოს ძვლის კოშკად“ აცხადებდა, სულ რამდენიმე წლის შემდეგ რევოლუციით შთაგონებულ სიზეიმო ოდაში პოეტი ხაზგასმით (ადვილად შესამჩნევი ირონიით) ემიჯნება პოეზიის, შემოქმედების, საერთოდ სულიერი აქტივობის ამგვარ გაგებას:

რევოლუცია ასრულებდა
უძნელეს როლებს:
ის იყო გმირი და პატიმარი,
ის ატარებდა მრავალ სახეს,
იხდიდა ბრძოლებს,
მუდამ მამაცი და მოღიმარი.
...სპილოს ძვლის კოშკზე
არასოდეს არ უფიქრია,
იყო სამსხვერპლო მისი
კოშკი თვით სახრჩობელა;

ასეთი ძირეული გარდაქმნა თავისთავად კანონზომიერია. მართლაც, ძნელი დასაჯერებელი იქნებოდა ისეთ პოეტებს, რომელთა წყებასაც ვალერიან გაფრინდაშვილი ეკუთვნოდა — განახლების, გარდატეხის, გარდაქმნის წყურვილით შეპყრობილ ახალგაზრდა შემოქმედთ — ადრე თუ გვიან არ იხელოდათ თვალი მათი გარემომცველი სამყაროს რეალურ ფერისცვალებაზე.

შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ნაბიჯის აუცილებლობა ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებით

ჭადრაკი

ა. კარპოვის მონაწილეობით

25 თებერვალს მიუნხენში იწყება დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი 16 დიდოსტატისა და ოსტატის მონაწილეობით.

ტურნირში ითამაშებენ მსოფლიოს ჩემპიონი ა. კარპოვი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ბ. სპასკი, დიდოსტატები ი. ბალაშოვი (სამივე — საბჭოთა კავშირი), უ. ანდერსონი (შვეცია), ლ. ლიუბოეგიჩი (იუგოსლავია), ე. ფაილი (ინგლისი), ლ. კავალეკი (აშშ), ს. მარიოტი (იტალია), კ. რობაჩი (ავსტრია), რ. ჰიუბნერი, ვ. უნციკერი, ვ. ფლეგერი (სამივე — გფრ) და ახალგაზრდა ოსტატები, რომლებმაც სპარზო ადგილები დაიკავეს გერმანიის ფედერაციიუნი რესპუბლიკის უკანასკნელ ჩემპიონატში.

საგზურები განაწილდა

ვარშავაში დამთავრდა მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირი. საზონთაშორისო ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა ხუთმა მოჭადრაკემ. ესენი არიან: ზ. რიბლი, დ. საქსი, ა. ადორიანი (სამივე — უნგრეთი), ი. სმეიკალი (ჩეხოსლოვაკია) და ფ. გეორგიუ (რუმინეთი).

ორი ლიდერი

ბაქოში გრძელდება საკავშირო პირველობა ახალგაზრდა ოსტატ ვაჟთა შორის. მკითხველმა უკვე იცის, რომ ამ ტურნირში მსოფლიოს ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძეც მონაწილეობს. მან მეოთხე ტურში წააგო შეხვედრა კრასნოიარსკელ ს. ფსახისთან. თბილისელმა გ. ზაიჩიკმა დაამარცხა ტაშკენტელი გ. აგზამოვი, ხოლო მეორე თბილისელმა ზ. სტურუამ ყაბით დაამთავრა შეხვედრა ალმაათელ ე. ვლადიმიროვთან.

ტურნირს 2,5-2,5 ქულით ლიდერობენ ვლადიმიროვი და ივანოველი ა. ხარიტონოვი.

ეიკლედ

კალათბურთი. ტალინში გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის გამოტოვებული მატჩი ადგილობრივ „ალვესსა“ და მოსკოვის „დინამოს“ შორის. გაიმარჯვეს მასპინძლებმა ანგარიშით 103:100 (53:53).

მძლეოსნობა. ახალი ზელანდიის ქალაქ ოკლენდში ღია სარბიელზე ფინელმა შუბის მტყორცნელმა პეტრი სინერსაარმ საუკეთო შედეგი (93,84 მ) აჩვენა. ბადრის ტყორცნაში ყველას აჯობა აგრეთვე ფინელმა სპორტსმენმა ფარკ ტუოკომ. მან ბირთვი ჰკრა 64,80 მეტრზე.

კრიკეტი. ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტაში დაიწყო დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 14 ქვეყნის მოკრიკეტეები მონაწილეობენ. სსრ კავშირის სპორტსმენთაგან პირველი გამარჯვებები მოიპოვეს კრასნოდარელმა შ. საბიროვმა (48 კგ) და ალმაათელმა ვ. დემიანენკოვმა (54 კგ).

მოტორბოლა. ქალაქ კალინინში დამთავრდა მსოფლიოს პირველი ჩეხოსლოვაკიისტანზე მოტორბოლაში. ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღეს ავსტრიის, გერმანიის ფედერაციიული რესპუბლიკის, ჰოლანდიის, შვეიცარის, ფინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ნაკრებმა გუნდებმა. მასპინძლებმა 59 ქულა დაგროვეს და ყველას აჯობეს. მეორე ადგილზე გავიდა ჩეხოსლოვაკიის (42 ქულა), მესამეზე — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდი (40 ქულა).

ფეხბურთი

ოლიმპიელები ემზადებიან

ამერიკაში ამხანაგური მატჩების გასამართავად გაემგზავრა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ოლიმპიური ნაკრები, რომლის შემადგენლობაში არიან: მეკარეები — ვ. რადაევი (დონის როსტოვის ასკ) და ი. რომენსკი (კიევის „დინამო“); მცველები — ო. როდინი (ლვოვის „კარპატი“), თ. სულაქველიძე (თბილისის „დინამო“), ო. რომანცევი (მოსკოვის „სპარტაკი“), ვ. შვეცოვი და ვ. გრიგორიევი (ორივე — ცსკა); ნახევარმცველები — ვ. უსტიმჩიკი, ვ. ჰლოსკინა (ორივე — ოდესის „ჩერნომორეცი“), მ. ანი (ტაშკენტის „პახტაკორი“) და ა. ტარხანოვი (ცსკა); თავდამსხმელები — ს. ანდრეევი (დონის როსტოვის ასკ), ვ. კლემენტიევი (ლენინგრადის „ზენიტი“), ვ. პეტრაკოვი (მოსკოვის „ლოკომოტივი“), ნ. ვასილიევი (მოსკოვის „ტორპედო“) და ნ. კოლესოვი (მოსკოვის „დინამო“); მწვრთნელები — გ. ლობანოვი და ლ. რადინი.

საბჭოთა ოლიმპიელები 30 იანვარს ლოს-ანჯელესში შეხვდებიან მექსიკის ნაკრებს, 3 თებერვალს — სიეტლში აშშ-ს ნაკრებს, 6-ში — მონტერეიში და 8-ში — ტამპინოში კვლავ მექსიკელებს, ხოლო 11-ში — ოკლენდში აშშ-ს ნაკრებს.

„ნედელიას“ პრიზზე

მოსკოვსა და ლენინგრადში გრძელდება საფეხბურთო ტურნირები „ნედელიას“ პრიზზე. ასპარეზობის მეხუთე დღეს გამართული მატჩები ასე დამთავრდა:

მოსკოვში ადგილობრივმა „ლოკომოტივმა“ დაამარცხა დონეცკის „შახტიორი“ — 3:2, მოსკოვის „სპარტაკმა“ კი მოუგო სოფიის „აკადემიკს“ ანგარიშით 5:0.

ლენინგრადში მინსკის დინამოელებმა დაამარცხეს ოდესის „ჩერნომორეცი“ — 4:2, ხოლო ადგილობრივმა „ზენიტმა“ და ფინეთის ოლიმპიურმა ნაკრებმა ფრედ დაამთავრეს მატჩი — 2:2.

ფეხბურთელი, პოლიგლოტი, ფსიქოლოგი

ვროცლავში (პოლონეთი) შვეიცარიისა და პოლონეთის ნაკრები გუნდების ევროპის პირველობის შესარჩევ მატჩში ბრწყინვალედ ითამაშა სტუმართა გუნდის კაპიტანმა ლუჩიო ბიციინმა. — „მიუხედავად იისა, რომ შვეიცარიელები დამარცხდნენ (0:2), ამ შეხვედრაში საუკეთესო ფეხბურთული ნამდვილად სტუმრების მარჯვენა მცველია“, — ერთხმად აღინიშნავდა პოლონეთის სპორტული პრესა.

ლუჩიო ბიციინი დაიბადა 1948 წელს ქალაქ ტესინში იტალიელის ოჯახში. შობლიური ენის — იტალიურის გარდა მან კარგად იცის აგრეთვე გერმანული და ფრანგული.

ლუჩიო ორი წელია, რაც შვეიცარიის ნაკრების კაპიტანია. მას ნაკრებში 32 მატჩი აქვს ჩატარებული. — „ლუჩიო უაღრესად საიმედო მცველია, სწრაფი და შეუპოვარი. დახვეწილი ტექნიკა მას საშუალებას აძლევს შეასრულოს ზუსტი და გრძელი გადაცემები. იგი ხშირად მონაწილეობს საიერშო ოპერაციებში და სახიფათოდ ემუქრება მეტოქეთა კარს“, ამბობს შვეიცარიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალბერ ვოლნანტენი. აღსანიშნავია, რომ ლუჩიო ბიციინი პროფესიით ფსიქოლოგია და ლექციებს კითხულობს შვეიცარიის ქალაქ ბენფის უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე. „ჩემი პროფესია დიდად მეხმარება ფეხბურთის მინდორზე. ფსიქოლოგისათვის დაახასიათებელი თვისებების და უნარ-ჩვევების გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს ძლიერ მეტოქესთან ბრძოლაში“.

სჯიქიასთან ბრძოლაში

ღამით უჩვეულო ქარიშხალი დაატყდა სოფელ ზრესილს (ტყიბული). გამძვინვარებულმა სტიქიამ ოცამდე აკაციის ხე მოთხარა და ქუთაის-ტყიბულის რკინიგზის საკონტაქტო ელექტროხაზს დაანარცხა. შეწყდა ელექტროდენის, მოწოდება. გაჩერდა მატარებლების მოძრაობა.

ზრესილის რკინიგზის სადგურის მორიგემ ჯ. ცქიფურიშვილმა შექმნილი მდგომარეობის შესახებ სასწრაფოდ აცნობა მატარებლების მოძრაობისა და ელექტროკვების ქსელის დისპეტჩერებს. შემთხვევის ადგილზე მალე მოვიდა საკონტაქტო ქსელის საავარიო ბრიგადა ელექტრომექანიკოს ა. ქარქაშაძის ხელმძღვანელობით. რკინიგზელები შეუდგნენ დაზიანებული საკონტაქტო ქსელის აღდგენას. უშიშარი ადამიანები უკუნეთ ღამეში, თითქმის რვა საათის განმავლობაში ებრძოდნენ სტიქიას. განთიადისათვის შეაკეთეს საკონტაქტო ქსელი და გაწმენდეს რკინიგზის ხაზი, აღდგა მატარებლების ნორმალური მიმოსვლა.

სტიქიის შედეგების ლიკვიდაციაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ელექტრომონტიორებმა ს. ქარქაშაძემ, ე. ობოლაძემ, ვ. გოგავამ, ყავშირგაბმულობის მექანიკოსმა დ. ოგანეზოვმა და სხვებმა.

ვლ. კუტალაძე,
„კომუნისტის“ სოფლკორი.

ილია ნატროშვილი



ქართულმა მეცნიერებამ და ეროვნულობამ დიდი დაკარგვა — გარდაიცვალა 1942 წლიდან სკკპ წევრი, თვალსაჩინო ეროვნული ოსტორიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **ილია ალექსის ძე ნატროშვილი.**

ი. ნატროშვილი დაიბადა 1912 წელს ახალსოფელში (ყვარლის რაიონი). 1931 წელს დაამთავრა თელავის საშუალო სკოლა და ერთხანს მასწავლებლად მუშაობდა სოფელ ზემო ალვანის სკოლაში. ამავე წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრებისთანავე, 1936 წელს, დაინიშნა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კადრების განყოფილების გამგედ.

1937 წლიდან ი. ნატროშვილი გაზეთ „საბჭოთა მასწავლებლის“ რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი იყო. 1940 წლიდან მუშაობდა საქართველოს სსრ რადიოკომიტეტში ჯერ პოლიტიკურ გადაცემათა მთავარ რედაქტორად, ხოლო შემდეგ — თავმჯდომარის მოადგილედ. 1944 წელს ი. ნატროშვილი კვალიფიკაციის ასამაღლებლად მიავლინეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში, რის შემდეგ მსახურობდა საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროში.

1946-1953 წლებში ი. ნატროშვილი მუშაობდა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილედ, ხოლო 1954-1957 წლებში — ეროვნულ „საქართველოს კომუნისტის“ რედაქტორად.

ასევე მრავალმხრივი და დიდად ნაყოფიერი იყო ი. ნატროშვილის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა. 1947 წელს მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობა დაიწყო სახელმწიფო სამართლის კათედრის ასისტენტად. 1951 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1964 წელს — სადოქტორო დისერტაცია. 1953 წლიდან იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნულისტიკის კათედრის დოცენტი იყო, ხოლო 1969 წლიდან—პროფესორი. ათეული წლების განმავლობაში იგი კითხულობდა ლექციებს ეროვნულ სახელმწიფოთა ეროვნულისტიკის თეორიასა და პრაქტიკაში, პარტიული და საბჭოთა პრესის ისტორიაში და ეროვნულისტიკის ერთ-ერთ სხვა დარგში, ეროვნულ დისციპლინაში, რომელიც ... ინსტიტუტის ... ეროვნულისტიკის ... სტუდენტებისათვის, ისე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლისა და კურსების მსმენელთათვის.

ი. ნატროშვილი ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და მრავალი საგაზეთო-საეურნალო სტატიის ავტორია. ქართული ეროვნულისტიკის თეორიისა და ისტორიის მნიშვნელოვანი შენაძენია სხვადასხვა დროს წოდებად გამოცემული მისი ვრცელი მონოგრაფიები: „საბჭოთა ქვეყნის ძალისა და ძლიერების წყაროები“, „პირველი ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი „ნოვაია ჟიზნი“, „ნარკვევები ბოლშევიკური პრესის ისტორიიდან“, „ვ. ი. ლენინი — ბოლშევიკური პრესის ორგანიზატორი, რედაქტორი, ეროვნულისტი“. ი. ნატროშვილმა შექმნა „ბოლშევიკური პრესის ისტორიის“ ორტომიანი სახელმძღვანელო, მისი თანაავტორობითა და რედაქციით ასევე ორ წიგნად გამოიცა „საბჭოთა ეროვნულისტიკის თეორიისა და პრაქტიკის“ სახელმძღვანელო.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ი. ნატროშვილის პედაგოგიური ღვაწლი. მან დიდი ამაგი დასდო ეროვნულისტთა არაერთი თაობის აღზრდის საქმეს. ი. ნატროშვილის პიროვნებაში შერწყმული იყო მტკიცე პრინციპულობა და სათუთი გულისხმიერება, სამაგალითო პასუხისმგებლობა და იშვიათი თავმდაბლობა.

ი. ნატროშვილი გამოირჩეოდა აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობით. იგი სისტემატურად ეხმაურებოდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებს, ფართო პროპაგანდას უწევდა მათ. ი. ნატროშვილი ორგზის იყო არჩეული თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატად. მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

ილია ნატროშვილის ნათელი ხსოვნა არასდროს წაიშლება მისი აღზრდილებისა და კოლეგების, ყველა იმათ გულში, ვინც კარგად იცნობდა მის მრავალმხრივ და ნაყოფიერ მოღვაწეობას, მის მაღალ მოქალაქეობრივ ღირსებებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო;
თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი;
საქართველოს სსრ ეროვნულისტთა კავშირი.

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი

თბილისის № 26 ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1979 წლის I კვარტალისათვის

სასწავლებელში მიიღებიან საბჭოთა არმიიდან დემობილიზებული ახალგაზრდები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლის სრული კურსი.

მოსწავლეთა მიღება წარმოებს შემდეგ პროფესიებზე:

1. მეტროპოლიტენის გვირაბგამყვანები — სწავლების ვადა 7,5 თვე,
2. ხარატები — სწავლების ვადა 8 თვე.

სასწავლებელში სწავლა უფასოა. მოსწავლეებს მიეცემათ სტიპენდია თვეში 72-85 მანეთამდე, გარდა ამისა, ეძლევათ ფულადი ანაზღაურება 33 პროცენტი იმ სამუშაოებისათვის, რომლებსაც ისინი ასრულებენ საწარმოო პრაქტიკის პერიოდში საბაზო საწარმოებში. მოსწავლეებს, რომლებსაც ყველა საგანში ექნებათ ფრიადი შეფასება, 25 პროცენტით უდიდდებათ სტიპენდია.

რაიონებიდან ჩამოსული ახალგაზრდები უზრუნველყოფილი იქნებიან კეთილმოწყობილი საერთო საცხოვრებლით და თბილისში ჩაწერით.

სასწავლებლის კურსდამთავრებულებს გამოსაშვები გამოცდების ჩაბარების შემდეგ ეძლევათ ატესტატი პროფესიაში მინიჭებული კვალიფიკაციის შესახებ, ხოლო ხუთოსნებს — წარჩინების ატესტატი.

ყველა მოსწავლე სასწავლებლის დამთავრების შემდეგ უზრუნველყოფილი იქნება სამუშაოთი მიღებული სპეციალობის მიხედვით თბილისის მეტროპოლიტენის და ელმავალმშენის საწარმოებში.

ის პირები, რომლებიც „ფრიადზე“ დაამთავრებენ ტექნიკურ სასწავლებელს და იმუშავებენ თავიანთი სპეციალობის მიხედვით, უმაღლეს სასწავლებელში მონათესავე სპეციალობაზე წარმოებას მოუწყვეტლივ სწავლებისათვის უკონკურსოდ ჩაირიცხებიან მისაღებ გამოცდებზე დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში, ხოლო დღის დასწრებულზე ზემოაღნიშნული პირები ჩაირიცხებიან საერთო წესის საფუძველზე საკადრებულო სტაჟის გარეშე.

განცხადება სასწავლებელში მიღების შესახებ უნდა შემოტანოთ დირექტორის სახელზე.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. საშუალო განათლების ატესტატი (დედანი), 2. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); 3. ავტობიოგრაფია; 4. დახასიათება; 5. დაბადების მოწმობა; 6. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; 7. პასპორტი; 8. სამხედრო ბილეთი; 9. ფოტოსურათი (ზომით 3X4) — 6 ცალი;

სწავლა დაიწყება 1 თებერვალს.

სასწავლებლის მისამართია: თბილისი, ლენინის რაიონი, ავჭალის გზატკეცილი, № 72-ბ. ტელეფონი: 66-42-02; 66-45-80; 66-44-01.

ტრანსპორტი: მეტრო დიდუბიდან ტრამვაი № 3, ავტობუსი, — 63, 64, რკინიგზის სადგურიდან — 11, 31, 62. გადასასვლელი ხიდიდან ტრამვაი № 4, 11.

სასწავლებლის დირექცია



ქ. თბილისის № 38 ტექნიკური სასწავლებლის დირექცია

აცხადებს სამხედრო სამსახურიდან დემობილიზებული ახალგაზრდების მიღებას, რომელთაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლის სრული კურსი.

მოსწავლეები მიიღებიან შემდეგ სპეციალობებზე:

მექანიკური სამუშაოთა ამწყობი-ზეინკლები; ხარატები.

სწავლა ქართულ ენაზეა. სწავლის ვადა 8,5 თვეა. მოსწავლეებს, რომლებსაც კარგი აკადემიური მოსწრება ექნებათ, მიეცემათ სტიპენდია 80 მანეთამდე, ამასთან დამატებით მიიღებენ საწარმოო პრაქტიკის დროს გამომუშავებული თანხის 33 პროცენტს.

კურსდამთავრებულები გაიგზავნებიან სამუშაოდ დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში სპეციალობის მიხედვით.



31 იანვარი

პირველი პროგრამით

09.00 — „ალვეია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.00 — აბიბურაიმოვი — მათემატიკა (ფერადი), 17.30 — თოჯინების თეატრის სპექტაკლი „გვრიტი“ (ფერადი), 18.15 — შვეიცარიული ენა, 18.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვინ თამამობს ჰოკეის“ (ფერადი), 19.00 — კონცერტი, 19.35 — ახალგაზრდობისათვის — „სოფელში ბრძანებით ვერავის დატოვებ“ (განმეორებით), 20.00 — ჩვენი სამკითხველო დარბაზი (ფერადი), 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — როგორ გვიმსახურებიან, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — ევროპის პირველობა ციგურებით ფიგურულ სრიალში (ზაგრებიდან).

მეორე პროგრამით

18.00 — მოსწავლეთათვის — სსრ კავშირის ისტორია (ფერადი), 18.45 — განცხადებები (ფერადი), 18.50 — კინონარკვევი, 19.00 — მუსიკალური კალენდარი, 20.00 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მეკარე“.



1 თებერვალი

პირველი პროგრამით

06.10 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ჩვენი მთა-ბარის ჯანგები, 06.50 — სოფლის დილა, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მოსკოვიდან), 08.35 — მსუბუქი მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ა. ანდრიაშვილი — ოპერების ნაწყვეტები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 11.10 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (ქართულ ენაზე), 11.20 — ნ. პეიკო — მეორე სიმფონიური კვარტეტი, 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 11.40 — გმირული ხასიათის ადამიანები (გადაცემა პირველი), 12.10 — უკანასკნელი ცნობები, 12.15 — მღერის ჟ. ბრელი, 12.25 — სცენის ოსტატები, 12.35 — ა. მაჭავარიანი — საფორტეპიანო სუიტა „ოტელო“, 12.45 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.50 — რუსული ხალხური სიმღერები, 13.00 — დრო, მოვლენები, ადამიანები (მოსკოვიდან), 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია (ქართულ ენაზე), 13.40 — ბ. ასაფიევი — ბალეტი „ბახჩისარაის მადრვანი“. ნაწყვეტები, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“. შ. რუსთაველი — „ვეფხისტყაოსანი“, 14.20 — დ. თორაძე — სიმფონია „ნიკორწმინდა“, 15.00 — ვ. გრიგი — სიმღერები, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.35 — მოსწავლეთათვის — „პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი“, 18.00 — „აფხაზეთის ასსრ ახალი ამბები“ — აფხაზეთის რადიოს გადაცემა, 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება, 18.30 — რუსპუბლიკური ცნობები რუსულ ენაზე, 19.00 — მიღიონთა ლენინური უნივერსიტეტი. საუბარი „1979 წლის მშენებლობანი“, 19.20 — მღერის ი. გულიაევი, 19.30 — უკანასკნელი ცნობები, 19.40 — ეკრანის მელოდიები, 20.30 — „გამოჩენილი ქართველი პოეტი“ (ვ. გაფრინდაშვილის დაბადების 90 წლისთავის გამო), 21.00 — ძილისპირული, 21.15 — მუსიკალური იანვარი — მიმოხილვა, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — მხიარული რიტმები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.



31 იანვარი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — გორდა (V აბონ. VIII წარმ.); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ეპპმ; მცირე დარბაზი — ჩემმ კალამმ; კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ძველი მალსი; ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჩარლის დეიდა.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

საუკუნის პრობლემა

ხმაური: როგორ დავაღწიოთ თავი?

ვერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის აღმოსავლეთით მდებარე პატარა ქალაქი ვოლფსბურგი, სადაც საავტომობილო ფირმა „ფოლკსვაგენის“ ყველაზე დიდი საწარმოა, ერთხელ უჩვეულო-მასობრივი დემონსტრაციის ადგილად იქცა. რამდენიმე ათასმა ადამიანმა, უმეტესად ხანში შესულმა ხალხმა, ტრანსპორტის მიერ გამოწვეული ხმაურის პროტესტის ნიშნად აავსო ქალაქის მთავარი ქუჩები და შეაჩერა ავტომანქანების, ავტობუსებისა და მოტოციკლების მოძრაობა. ავტომანქანების მოტორების გუგუნი, მოტოციკლების ყურთასმენის წამლები ქოთქოთი, კლაკსონების გაუთავებელი გრიალი, — განაცხადეს ვოლფსბურგის მცხოვრებლებმა, — აუტანელს ხდის ჩვენს ცხოვრებასო.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მეცნიერთა დასკვნით ხმაურის წინააღმდეგ ბრძოლამ მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს გარემოს დაცვის ღონისძიებათა საერთო კონტექსტში. ხმაურის წინააღმდეგ საბრძოლველად გერმანელ ინჟინერთა გაერთიანებასთან შექმნილმა კომისიამ დაადგინა, რომ მის მთავარ წყაროდ უკანასკნელ წლებში სწორედ სატრანსპორტო საშუალებანი იქნა.

ქუჩის ხმაური ქალაქებში სულ უფრო იზრდება. და ეს არც არის გასაკვირი. უკანასკნელი 30 წლის მანძილზე შიდაწვისძრავიანი სატრანსპორტო საშუალებათა რიცხვი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 12-ჯერ გაიზარდა. ქვეყნის ავტოპარკში ავტომანქანების რიცხვმა 20 მილიონს მიაღწია. გაფართოდა კომუნიკაციების ქსელიც: მარტო ავტოსტრადები გაავანილია 6,5 ათას კილომეტრზე. ქალაქებში